



იოსებ სიბოშვილი:


“საქართველოში უამრავი ქალაქი და სოფელი მაქვს მოვლილი. ქართველი კაცი ადვილად ამოსაცნობია. შეიძლება ის ეკლესიურ განათლებას არ ფლობდეს, მაგრამ გენეტიკური და ტრადიციული მართლმადიდებლობა მასში ისეა ჩაკირული, რომ თვითონაც ვერ

აცნობიერებს, თუმცა მის საუბარსა და მოქმედებაში ის ნათლად ჩანს. ანუ ქართველია ის, ვინც სულით და თვითშეგნებით ქართველია. ნათელი გადმოდის ზეციდან. მხოლოდ ინტელექტუალური ცოდნა ადამიანს ვერ გაანათლებს. რაც უნდა ნაკითხი და წიგნიერი იყოს კაცი, თუ კურთხევა არა აქვს ზეციდან, მისი ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი უფალთან განშორებას ნიშნავს, რაც ხშირად სიყვარულისა და სილიერების დეფიციტს იწვევს. ჩვენი დროის ყველაზე დიდი პრობლემა არის არა გაჭირვება, არამედ მადლის დაკარგვა, რომლის გარეშე იხურება ადამიანის სული. ამიტომ ყველამ უნდა გავითავისოთ საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილი სიტყვები: “არავის ვეყმით, არცა ვემონოთ თვინიერ ღმრთისა დამბადებლისა.”

იოსებ სიბოშვილი



მოთხრობები



2012



* * *

წუთისოფელში დასაბამიდან მიმდინარეობს ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. ი. სიბოშვილის მოთხრობების გმირები მუდმივად დგანან ამ არჩევანის წინაშე, ებრძვიან ბნელს და უფლის მეშვეობით მიიკვლევენ გზას ნათლისაკენ. ავტორი აშიშვლებს წუთისოფლის მოჩვენებით სიკეთეს, რომელიც ყოველთვის იმედგაცრუებით მთავრდება და თავისი გმირები მიჰყავს ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ.

მოთხრობებში უხვად არის მიმოხეული იუმორისტული მარგალიტები, რაც მკითხველისთვის უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის ავტორის შემოქმედებას.

ციხემ თქვა ბოჭორმისამა:
მინახავს ბევრი ომია,
ათასი ჯიშის ურჯულო
ბევრჯერ გარშემო მდგომია.

მაგრამ ჩემს დამცველს
არასდროს, უკან არ დაუხევია,
ყოველი მქმნელი ბოროტის
აუჩიხ - გაუხევია.

მე ღმერთს ვიცავდი, ის კი მე,
გოდოლზედ მდგარი ვაჟკაცით,
ზეცას ატყორცნილ სიმაგრეს,
არც ბერი მაკლდა, არც კაცი.

გულში მაქვს ბევრი ამბავი,
სათქმელად დაუჯერები,
სულ სიმართლეს რაც ვიცი
სიცრუვით გაუჯერები.

მინდა გიამბო ჩურჩულით,
რადგან ხმამაღალს არ ისმენ,
ვყვირი: "აქა მაქვს ყოველი!"
მაგრამ არავინ არ ისმენს.

მოდი და მნახე ციხე ვარ,
ვგოდებ ობლობას კაცისას
იდუმალეზას გინახავთ,
"არც მინისა ვარ , არც ცისა."

ვასილ უნაფქომვილი
სოფ. პატარძელი

ISBN 978-9941-0-4700-8

© იოსებ სიბოშვილი -2012

მხატვარი - გიზო ქუთათელაძე
დიზაინერი - რუსუდან ხუციშვილი

ოსებ სიბოშვილი

მთხრობები

2012



ქართული მბავი

„და ვინც აცდუნებს
თუნდაც ერთ ამ მცირეთაგანს,
რომელთაც მე ვნამვართ,
უჯობს წისქვილის დოლაბი
დაჰკიდონ ყელზე და
ზღვაში დანთქან.“

(მარკოზი 9.42)

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან მეორე ათასწლეულის თითქმის შუა წლებამდე საქართველოში, კახეთის ტერიტორიაზე, ახლანდელი დედაქალაქის მახლობლად უღრანი ტყით დაფარულ ფერდობზე მდებარეობდა დიდი ქალაქი, რომლის მოსახლეობის საქმიანობა იქვე მდებარე მთიდან რკინის მადნის მოპოვება და ფოლადის გამოდნობა იყო. მზადდებოდა იარაღი და რკინის მკვეთელი ხმლების მეშვეობით ქართველობა გზას იკვალავდა დედამიწის სხვადასხვა მიმართულებით. მათი შემჩერებელი არავინ იყო, რადგან მაშინდელ მსოფლიოში არ მოიპოვებოდა ქართველების მიერ შექმნილ ხმალზე უფრო ძლიერი იარაღი. აქედან გაიკვლიეს გზა იბერებმა ბასკეთისა და ტიბეტისაკენ...

ქალაქს განაგებდა ქურუმი, ანუ კულტის მსახური, რომელიც ადამიანებსა და ღვთაებებს შორის შუამავლად ითვლებოდა. ქალაქში იდგა დიდი ტაძარი, სადაც აღესრულებოდა ქურუმთა მიერ ღმერთებისადმი მსახურება.

* * *

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. საუკუნეები კი არა, ათეული საუკუნეები. ქურუმთა ქალაქი, რომლის ძირითადი საქმიანობა ფოლადის გამოდნობა და საბრძოლო იარაღის დამზადება იყო, ნელ-ნელა დაიცალა მოსახლეობისაგან, რადგან გარშემო აღარც რკინა იყო და აღარც მის გამოსადნობად საჭირო ტყე. ქრისტეს აქეთ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ამ თითქმის უდაბნოდქცეულ ადგილას პატარა სოფელი იყო შემორჩენილი, რომელსაც სახელად ნაფოლადარი ერქვა, ხოლო გვერდზე მდინარე რკინის ხევი ჩამოუდიოდა. ეს სახელები ისტორიის ქარტეხილებიდან შემორჩენოდა სოფელს.

ნაფოლადარი ცხოვრობდა ჩვეულებრივი სოფლური ცხოვრებით. სულიერ ცხოვრებას მღვდელი მამა ანტონი უძღვებოდა, ხოლო სამეურნეოს მამასახლისი ზურაბ მალალაშვილი.

მამა ანტონი მსახურებას წმიდა ბარაბარეს სახელობის ეკლესიაში ატარებდა, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარეობდა. მრევლი მცირე ჰყავდა და მოსახლეობის ურწმუნოების გამო მადლიც ნაკლები ტრიალებდა სოფელში. მამასახლისი კი თავისი ავხორცობით და გაუმაძღრობით ეშმაკს ემსახურებოდა და სოფელიც ვერ შენდებოდა ისე, როგორც ეს ხალხს უნდოდა. ზურაბ მაღალაშვილის ნამდვილი სახე კი მაშინ გამოჩნდა, როდესაც მას მეუღლე უეცრად გარდაეცვალა. ზურაბის შიშით ახალგაზრდა ქალებს დაქვრივების ეშინოდათ. სახლიდან მიცვალებულის იმქვეყნად გაცილების მეორე დღესვე მამასახლისი ახლადდაქვრივებულ ქალთან გამოცხადდებოდა ხოლმე და უტიფრად თავის თავს სთავაზობდა. ზოგს აშინებდა, ზოგსაც ქრთამავდა და ბილწი საქმეც გამოუდიოდა. მიუხედავად მამა ანტონის დიდი მცდელობისა, თავისი ხალხისთვის აეცილებინა ეს უდიდესი ცოდვა, სოფელი ნელ-ნელა ემსგავსებოდა სოდომსა და გომორს. მამასახლისის „მოყირჭებული“ ქვრივები მერე ხელიდან ხელშიც გადადიოდა. ზოგნი იმასაც კი ამბობდნენ, რომ მაღალაშვილმა ცოლი გამიზნულად მოკლა, რათა სხვების ცოლებზე უპრობლემოდ ნადირობის საშუალება მისცემოდაო. ხან რას ამბობდნენ და ხან რას, მამასახლისი კი თავისას განაგრძობდა ცნობილი პრინციპით: „ძალდი ყვეს, ქარავანი კი მიდისო“.

* * *

ნაფოლადარში კახეთიდან ერთი ახალგაზრდა ოჯახი გადმოსახლდა. ოჯახის უფროსი - შერმადინი მჭედელი იყო და ვინაიდან სოფელს ძალიან უჭირდა ამ ხელობის კაცი, მისი ოჯახი დიდი სიხარულით მიიღეს. შერმადინს მეუღლე და ქალ-ვაჟი ჰყავდა. ბიჭი უკვე მეჩვიდმეტე წელში იყო, ხოლო გოგო მეთორმეტეში. მეუღლე კი, ევა კოხტაშვილი, მართლაც რომ ამართლებდა თავის სახელს. ბუნების მიერ ნაბოძარ საჩუქარს ჰყავდა - ნატიფს და ხელთუქმნელს. ოცდათხუთმეტი წლის ქალს სახეზე უბრალო ნაოჭიც კი არ ჰქონდა. ჩოხტიკოპს რომ მოიხდიდა, ხშირი ნაბლისფერი თმები თეთრ, ქათქათა სახესა და მხრებზე ზღვის ტალღებივით დაეფინებოდა, მისი ცისფერი თვალების გამოხედვას ვერც ერთი მამაკაცი ვერ უძლებდა. „ქალი კი არა, შარავანდედით შემოსილი ევა ჩამოსულაო სამოთხიდან,“ - იტყოდნენ ხოლმე სოფელში. ცოლ-ქმარს ძალიან უყვარდა ერთმანეთი. ქრისტიანული წესით ცხოვრობდნენ და სოფელმაც მალე შეიყვარა და შეისისხლხორცა ისინი.

მამასახლისი ძალიან კმაყოფილი იყო სოფელში მჭედლის მოსვლით, მაგრამ როდესაც ევა იხილა, მისმა სილამაზემ იმდენად დაარეტიანა, რომ კინალამ ცხენიდან გადმოვარდა. „ეს ქალი ჩემი უნდა გახდეს“, - გაიფიქრა ავხორცმა და სოფლის შარავნაზე გაჰქუსლა.

მაღალაშვილმა მოუხშირა მჭედლის ოჯახში სტუმრობას. ხან რას იმიზეზებდა და ხან რას. მისი ხასიათიდან გამომდინარე, სოფელში ყველა ხვდებოდა, რომ მჭედლის ოჯახის თავზე შავი ღრუბლები იკრიბებოდა. ზურაბი ყველაფერს გააკეთებდა, ევა რომ ხელში ჩაეგდო. კეთილმა ადამიანებმა შერმადინს სოფლიდან წასვლაზე პირდაპირ ვერ უთხრეს, მაგრამ მიახვედრეს, რომ აქ გაჩერება მის ოჯახს სიკეთეს არ მოუტანდა.

- რათა კაცო? ამბობდა შერმადინი, - სოფელმა კარგად მიმიღო, არც მამასახლისსა და არც მღვდელს ჩემი მისამართით საყვედური არ გამოუთქვამთ და რა გასაჭირი უნდა დამადგეს?

- რა ვიცი, შვილო, სიზმრები არ მასვენებს, - ამოიოხრა სონა ბაბომ, - იქნება ვცდები კიდეც, მაგრამ ბოროტი არ მოგეშვება და სჯობია გაეცალო აქაურობას.

- ეეჰ, სონა ბაბო, ნეტაი შენ, სიზმრებისა რომ გჯერა, გაეცინა შერმადინს და მოხუცს შუბლზე აკოცა.

- ღმერთმა ქნას, რო არ ახდეს, ნაღვლიანად ჩაილაპარაკა სონა ბაბომ და წასასვლელად მოემზადა. ჭიშკარში რომ გადიოდა, გულმა არ მოუთმინა, შემობრუნდა და მავედრებელი ხმით კიდეც ერთხელ გააფრთხილა შერმადინი, - ვერაგი ხალხი ცხოვრობს ამ სოფელში, ფრთხილად იყავი, ცოლ-შვილს გაუფრთხილდი, შვილოო.

- ხო, კარგი, კარგი, სონა ბაბო, ისე იქნება, როგორც შენ გინდა. - დაანუნარა შერმადინმა მოხუცი, მერე ევას ხელი მოხვია, სახლში შევიდნენ და მაშინლა გადაიხარხარა, - კაცოო, რა უნდა ამ ხალხს ჩემგან, რა გამოცანებით მელაპარაკებიან.

- მეც ცუდი წინათგრძნობა მაქვს, შერმადინ, - თქვა ევამ, - ხან ვიფიქრებ ხოლმე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი.

- გეჩვენება, გეჩვენება ჩემო ევა, - ხმამალლა წარმოთქვა შერმადინმა და ბუხარში მინელებულ ნაკვერჩხალზე შეშა დაანყო.

* * *

ნაფოლადარში გაზაფხული თითქოს ადრე მოვიდაო. თებერვლის ბოლოს ხეხილი უკვე აყვავებული იყო. მზიანი დღეები იდგა. სოფელში სიცოცხლე დულდა, ხოლო ადამიანებში სისხლი. ზურაბ მაღალაშვილს ცხენზე ხურჯინი გადაეკიდა და თვითონ კი ფეხით მიჰყვებოდა სოფლის ცენტრალურ ქუჩას... მარჯვენა ხელში ცხენის ლაგამი ეჭირა, ხოლო მარცხენაში კი ნერვიულად ათამაშებდა მათრახს. სოფლის სალაცხოზე ორი მოხუცი იჯდა, მზეს ეფიცებოდნენ და აკვირდებოდნენ გზაზე მიმავალ მამასახლისს.

- კარგ საქმეზე არ უნდა მიდიოდეს ეს ეშმაკის ნაშობი, - თქვა ერთმა.

- როდის მიდიოდა რო? - ჩაილაპარაკა მეორემ.

როდესაც ზურაბი მოხუცებს გაუსწორდა, მისალმების მაგიერ მათრახიანი ხელი აუწია. ამით აგრძნობინა, თქვენთვის არა მცალიაო.

სალაყბოზე გამოსულ მოხუცებს კი ისეთი გამვლელი არ აწყობდათ, რომელიც არ გამოელაპარაკებოდა. ამიტომ გლახუნამ გასძახა:

- რაო, მამასახლისო, ცხენი გეცოდება თუ დაიღალე ჯდომითა ჰა!?

- რა გინდა!? - დაიღრიალა მალალაშვილმა, - ყველას ანგარიში გაბაროთ. ნალი ასძვრა, ნალი!.. გაიგე?!. და მჭედელთან მიმყავს.

- ჰოო, ღმერთმა მშვიდობით გატაროს. - ჩაიდუღუნა გლახუნამ და თვალებით მიწას დააშტერდა.

- დაანებე თავი, - უთხრა დაბალ ხმაზე მეორე მოხუცმა, - ხო ხედავ, გაავებულია.

- როდის იყო დალაგებული ეგ ტვინგამდნარი, არ არი ეგა კარგი კაცი. - ჩაიბურღლუნა გლახუნამ და ხელი ჩაიქნია.

ზურაბი სამჭედლოს მიადგა. შერმადინს ის იყო დაემთავრებინა საქმე და სადილობას აპირებდა. მამასახლისი რომ დაინახა, სახე გაებადრა:

- მარტო კაცი ჭამაშიც ცოდოაო, სწორი უთქვამთ, შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა. მოდი და ერთად გავტყეხოთ პური.

- აბა კარგ დროს მოვსულვარ, - მიიღო მიპატიჟება ზურაბმა, - მეც მიდევს ხურჯინში საუკეთესო ღვინო, მოხარშული დედალი, გუდის ყველი და შოთი პურები. ისე, რომ მარტო შენ ხარჯზე არ გადავივლი.

- მაშინ ერთად ვჭამოთ პური და დავილოცოთ კიდეც, - თქვა ღიმილით შერმადინმა, - ბიჭო არსენ!, - დაუძახა თავის შეგირდს მჭედელმა, - წყალი მოიტანე და ხელი გადაგვაბანინე.

- მაიცა, მაიცა, - წამოიძახა ზურაბმა, - სანამ ხელს დავიბანდეთ, ნალია ცხენზე დასაჭედი. ბარემ ეს საქმეც გავაკეთოთ.

შერმადინს გაუკვირდა, სულ ახლახანს დააჭედა მამასახლისის ცხენს ნალები და ასე მალე არ უნდა ამძვრალიყო, მაგრამ არაფერი აგრძნობინა მალალაშვილს. უცბად მორჩა ყველაფერს, შემდეგ სტუმართან ერთად დაიბანა ხელი და ორივენი სახელდახელოდ გაშლილ სუფრას მიუსხდნენ. მამასახლისმა თავისი ნაქები ღვინით სავსე ტიკი ამოიღო ხურჯინიდან და თიხის ჯამები შეავსო. უცებ შერმადინს შეხედა და უთხრა:

- კაცო, წადი არსენასაც დაუძახე, დაჯდეს ჩვენთან, ერთადა ვჭამოთ პური.

- რა ვიცი აბა, თუ თქვენ იკადრებთ.

- სუფრასთან ხომ იცი, რომ ყველანი თანასწორნი ვართ. - მთელი

სეროზულობით თქვა მაღალაშვილმა.

ვინაიდან შეგირდი წყაროზე იყო ჩასული, შერმადინს სამჭედლოსთვის უნდა შემოეველო და იქიდან დაეძახა, თორემ სხვანაირად ვერ გააგონებდა. ასეც მოიქცა. ამასობაში კი ზურაბმა ჩოხის შიდა ჯიბიდან ნაჭერში საგანგებოდ შეფუთული ფხვნილი ამოიღო და შერმადინის ღვინით სავსე ჯამში ჩაყარა. იქვე მდგარი თუთის ხიდან პატარა ტოტი მოტეხა და საგულდაგულოდ მოურიხა ღვინოს. ფხვნილი მალევე გაიხსნა ღვინოში. ამასობაში შერმადინიც გამოჩნდა. უკან არსენა მოსდევდა. დასხდნენ სუფრასთან და დაიწყეს სადილობა. მამასახლისმა ღვინო არსენასაც დაუსხა. მერე თავისი სასმისი ასწია და ხმამაღლა თქვა:

- დიდება უფალს! მისი მადლი არ მოგვკლებოდეს, არც ჩვენ და არც ჩვენს ოჯახებს, - შემდეგ ბაგეებთან მიიტანა სასმისი და სულმოუთქმელად ჩამოცალა, - ასე მტერი დაგვეცალოს, ეს სასმისი ყველამ ბოლომდე უნდა დაცალოს.

ასეც მოხდა. შემდეგ პირველ სადღეგრძელოს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე და ასე შემდეგ. მამასახლისის ტიკი რომ გამოცალეს, შერმადინის ღვინოზე გადავიდნენ. ბოლოს მაღალაშვილმა საქმე მოიმიზეზა, ჩემი დათრობა არ შეიძლებაო, ბოდიში მოიხადა, შეჯდა ცხენზე და ღიღინით გაუდგა გზას. შერმადინმა კი ულვაშებზე გადაისვა ხელი და არსენას უთხრა:

- რას ერჩიან ამ კაცს. ყველა გაიძახის უვარგისიაო. რა ეტყობა ეხლა ამას არაკაცობის და უვარგისობის, ჰა? მოვიდა ერთი ვერცხლის საქმე გაგვაკეთებინა და სამაგიეროდ ოცდაათი ვერცხლის პატივი გვცა.

- რალა მაინდამაინც ოცდაათის?.. გაეცინა არსენას.

- რავი, აბა, ენაზე რაც მომადგა მეც ეგა ვთქვი.

სანამ არსენა სუფრას აალაგებდა, შერმადინი იქვე ახლად გამწვანებულ მდელოზე წამოგორდა და მზეს მიეფიცხა. არსენა სამჭედლოდან გამოვიდა, დაინახა მიწაზე წამოგორებული შერმადინი და გასძახა:

- ძია შერმადინ! გაზაფხული ხომ არა გგონია, ადექი გაცივდები.

შერმადინს ხმა არ გაუცია.

- უკვე დაგეძინა, კაცო? არ ეშვებოდა არსენა.

არსენამ მაგიდა და სკამებიც შეიტანა სამჭედლოში და როდესაც გამოვიდა, პირდაპირ შერმადინისკენ წავიდა, რომელიც მარცხენა გვერდზე დაწოლილიყო და მუხლები მუცელზე მიებჯინა. არსენამ მხარზე ხელი დაადო და ამ დროს დაინახა, რომ შერმადინს პირიდან დუჟი გადმოსვლოდა. შეაჯანჯლარა იგი, გადმოაბრუნა, მაგრამ მხოლოდ ფართოდ თვალებგახელილი შერმადინის უსულო სხეული შერჩა ხელში.

- მიშველეთ!.. მიშველეთ!.. იყვირა არსენამ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სოფლისაკენ გაიქცა.

შერმადინის გვამი ხალხმა სახლში გადაასვენა. ევა და მისი შვილები კი არ ტიროდნენ, ბლაოდნენ სიმწრისაგან. ვერავინ აცნობიერებდა რა მოხდა. მჭედლის სიკვდილის ერთადერთი მონმე მისი შეგირდი არსენა იყო, რომელიც მომხდარის გამო ისე იყო დარეტიანებული, რომ შეკითხვებზე პასუხს ვერ იძლეოდა, მხოლოდ ჰა! ჰა! - ს გაიძახოდა და თვალებს აქეთ იქით აცეცებდა უაზროდ.

მამასახლისი ძალიან შეწუხებული იყო. ყველას ერთი და იგივეს ეუბნებოდა:

- ნეტა არ მივსულიყავი, ფეხი მომტეხოდა, კაცო, არადა ყველამ ერთადა ვჭამეთ და დავლიეთ. რა მოხდა, კაცო? ეს რა უბედურებაა?

ერთადერთი გლახუნა იყო ჩაფიქრებული და ხმას არ იღებდა. ხანდახან გახედავდა ხოლმე მამასახლისს, თავს გაიქნევედა, თითქოს რაღაცას ხვდებო, მაგრამ ისევ გაირინდებოდა... ყველაფერი ნათელი იყო მისთვის. მაღალაშვილმა ევას დაპატრონების მიზნით შერმადინი მოიცვალა.

ქელეხის სუფრაზე, მამასახლისმა დიდხანს ილაპარაკა შერმადინის კაიკაცობის შესახებ, აქო და ადიდა. ამასთან შეწუხდა მასზედ, რომ ოჯახი პატრონის გარეშე დარჩა. შერმადინის ჩვიდმეტი წლის ვაჟი ჯერ მომნიფებული არ იყო, რომ ეპატრონა დედისა და დისთვის, ამიტომ მამასახლისმა ხალხს მიმართა, რომ იგი მას მთაში მწყემსებთან გაგზავნიდა, იქ ისწავლიდა ბევრ რამეს, თან ოჯახს სარჩოს მოაწვდიდა. ყველა გრძნობდა, რომ აქ რაღაც მზაკვრული გეგმა იყო ჩადებული, მაგრამ ვინ გაბედავდა რაიმეს თქმას, თანაც საამისო მიზეზიც არ ჰქონდათ, მამასახლისი ხომ ოჯახისთვის ზრუნავდა.

ასე გაისტუმრა ზურაბ მაღალაშვილმა შერმადინის ოჯახიდან კიდევ ერთი მამაკაცი.

ახლა მას ევასკენ გზა ხსნილი ჰქონდა.

მამასახლისი თითქმის ყოველდღე აკითხავდა ევას. მიჰქონდა ათასნაირი საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური. დამწუხრებულ ევას გული არავისკენ და არაფრისკენ უბრუნდებოდა. ქალებთან ურთიერთობაში გამობრძმედილი მაღალაშვილიც არ ჩქარობდა. მან კარგად იცოდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ ევა მაინც გამოიხედავდა მისკენ. ამ არაკაცს იმდენად მოსდებოდა სიყვარულის აღმური, რომ ლამეც ველარ იძინებდა. წინ სულ ევას სახე ედგა. დამწუხრებული ქალი უფრო მშვენიერი შეიქმნა. შავი სამოსიდან მისი გულისწამლებად

მოელვარე კანის სითეთრე თვით ყველაზე თავშეკავებულ მამაკაცსაც კი შეაცდენდა. ხოლო ვნებიანი ბაგენი მინდორში ეულად ამოსული ყაყაჩოს ფერს მოგაგონებდათ, რომელსაც შორიდან უმზერ და ერთი სული გაქვს მიხვიდე მასთან, ხელით შეეხო, მონყვიტო და გულში ჩაიკრა. მაგრამ მარტო გარეგნული სილამაზით არ ხიბლავდა ევა გარშემომყოფთ, მის სიახლოვეს რომ გაივლიდი, რაღაც არაამქვეყნიურ სიტბოს გრძნობდი და ეს ღვთიური სიტბო იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ვერცერთი მამაკაცი ვერ უძლებდა ცდუნებას. და არც იყო გასაკვირი, რომ მაღალაშვილს დიდი ხანია გადანყვეტილი ჰქონდა მისი ცოლად მოყვანა. როგორც კი დააპირა ამ ნაბიჯის გადადგმა, მთიდან მაცნე გამოუგზავნეს, შერმადინის ვაჟს ველარ ვაჩერებთ და რა ვქნათო. ამ სიტუაციაში მამასახლისს არ აწყობდა მისი ოჯახში დაბრუნება, რადგან ხელს შეუშლიდა საკუთარი გეგმის განხორციელებაში. მაღალაშვილს საიდუმლოდ ისიც აცნობეს, რომ ბიჭმა გაიგო დედამისთან შენი ხშირი სტუმრობის ამბავი და იმუქრება, დედაჩემს თავი დაანებოს, თორემ ვანანებო.

გაუჩნდა საფიქრალი მაღალაშვილს.

- ვანანებო! - ილრინებოდა თავისთვის იქედნე მამასახლისი, - ვინ ვის ანანებს მაგასაც ვნახავ. ფრთხილად იყავი, ვეყო! მამაშენის კვალს არ გაგიყენო.

ზურაბმა გამოიძახა თავისი ერთგული ქვეშემრდომი, - ეფრემანთ გოგია და ასეთი დავალება მისცა:

- მაგ ბიჭის მოკვლა არ მინდა, ჯერ ერთი ცოდვას ვერ დავიღებ, მეორეც, მაგის სრულ ჭკუაზე ყოფნაც არ მანყობს, რადგან მთელი ცხოვრება ფეხებში გამებლანდება. მოიფიქრე რამე, ან შეაშინე, ან რაღაც ჯანდაბა ქენი, რომ ცოცხალი დარჩეს, მაგრამ სრულ ჭკუაზე არ იყოს.

გოგია გაიღრიჭა. გამოაჩინა ჩაყვითლებული, გაცვეთილი კბილები, ასე გეგონებოდათ, ჯოჯოხეთიდან ეშმაკი ამოსულა და მორიგ მსხვერპლს ეძებსო. მერე ჩაიჩიფჩიფა:

- ეგ არ არის ძნელი საქმე, უფროსო, რაღაცას ვიზამ.

- ხმა - კრინტი არავისთან, თორემ ხოციცი!..

- რა თქმა უნდა, ვიცი ისე არ დამტოვებ. სათავისოდ შეაბრუნა მუქარა გოგიამ.

- ჯანდაბას შენი თავი, - თქვა მაღალაშვილმა, - ერთი დეკეული ჩემზე იყოს.

გოგიამ სიამოვნებისაგან კიდევ ერთხელ გამოაჩინა ყვითელი კბილები. ადამიანი საქონელში ისე გაცვალა, რომ სახეზე წარბიც არ შეტოკებია.

ეფრემიანთ გოგიას სოფელში ლაზღანდარა კაცის სახელი ჰქონდა. მისი ვერაგული საქმეების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. უცნაური ქცევების გამო ხალხი დასცინოდა კიდეც. ერთხელ შუა ზამთარში სახლის შესასვლელი კარები ჩამოხსნა და მთელი დღე ცოლ - შვილი ყინვაში ამყოფა. როდესაც ჰკითხეს: გოგია, რატომ გააკეთო ესო, უპასუხა:

- კაცო! ერთი ბიჭი გავიდა გარეთ, ღია დატოვა კარი, მივედი დავკეტე. მეორე ბიჭი გავიდა იმანაც ღია დატოვა. მივედი დავკეტე. ცოლმაც იგივე რო გააკეთა, ვიფიქრე, ალბათ, დაგინებული აქვთ მეთქი და რო არ მამსვლოდა გინება, ავდექი და კარები სულ ჩამოვხსენი.

ასეთი სულელური ქცევების გამო, გოგიას არანორმალურ კაცად მიიჩნევდნენ სოფელში, ხოლო ეს უკანასკნელი კი მამასახლისის დავალებით შავ-ბნელ საქმეებს აკეთებდა და არავის თავში არ მოუვიდოდა აზრად, რომ ის უვარგისი კაცი იყო.

ეფრემიანთ გოგიამ მამასახლისის დავალება ამჟამადაც ზედმინევნით ზუსტად შეასრულა. ნავიდა მთაში მეცხვარეებთან. იქ ორი მწყემსი დახვდა, აქედან ერთი შერმადინის ვაჟი - მალხაზი. დანარჩენები ბარში ჩასულიყვნენ ყველის ჩასაბარებლად. გოგიასაც ეს უნდოდა. ორივენი იმ ღამეს კარგად გამოათრო და დააძინა. ცოტა ხნის შემდეგ კი ბერიკას ტანსაცმელში გადაცმულმა, მალხაზის გვერდზე მწოლიარე მწყემსს თოფიდან ტყვია დაახალა. გასროლის ხმაზე გაღვიძებულმა მალხაზმა ჯერ სისხლში მცურავი ამხანაგი რომ დაინახა და მერე თოფმომარჯვებულ რქებამოსულ ბერიკას შეხედა, ერთი არაადამიანურად იკივლა, მერე წამოხტა და მთის ძირისაკენ გაიქცა. გზაში წაიქცა. გორაობით გააგრძელა გზა და ბუჩქებში გაიჩხირა. „ბერიკა“ თოფმომარჯვებული დაედევნა. ბიჭმა მის დანახვაზე კივილი მორთო და დაკანრულ სახეში ხელებს ირტყამდა. უაზროდ იცინოდა და ტიროდა.

ეფრემიანთ გოგიას მოფიქრებულმა ვერაგულმა გეგმამ მიზანს მიაღწია. ნამოქმედარით ნასიამოვნებმა მიატოვა ყველა და ყველაფერი და ნაფოლადარში დაბრუნდა. მამასახლისის მოახსენა, რომ ბიჭი ჭკუიდან გადავიყვანეო, შეპირებული დეკეული სახლში წამოიყვანა და ვითომ აქ არაფერიო, ისე გააგრძელა ცხოვრება.

მთიდან კი მეორე დღესვე მოვიდა მაცნე და სოფელს ცუდი ამბავი შეატყობინა. ვილაცა ყაჩაღი დაესხა მეცხვარეებს, ერთი მოუკლავს, ხოლო მეორეს კვალისთვის ვერ მიუკვლევიათ. მთის ძირის სოფელში უთქვამთ, ვილაცა ყმანვილი ბიჭი სოფლის შარაზე დაკანრული და ტანსაცმელშემოგლეჯილი მთელი სისწრაფით გარბოდა და თან არაადამიანურად გაჰკიოდაო. გავეკიდეთ, მაგრამ ვერ დავენით, ისე უცბად მიეფარა თვალსო.

ევამ ეს ამბავი რომ შეიტყო, თავზარდაცემული მაშინვე მამასახლისთან გაიქცა. მაღალაშვილმა სახლში შეიპატიჟა სანატრელი სტუმარი. ქალი მთელი ტანით ცახცახებდა და თვალებიდან ცრემლები ნიღვარვით მოსდიოდა.

- ზურაბ, შენ ხარ ჩემი ოჯახის მფარველი და მიშველე რამე. ჩემი შვილი მომაძებნინე... - ეს სიტყვები ძლივს წარმოთქვა ევამ, მერე ნაიბორძიკა, მიეხალა მამასახლისს და თავით მკერდზე მიეყრდნო.

მაღალაშვილს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მერე კი შვებით ამოისუნთქა, თუმცა არ შეიმჩნია. ევას მხრებზე მოკიდა ხელი, სკამზე დასვა, თვითონაც წინ დაუჯდა და იმედიანი ხმით უთხრა:

- დანყნარდი, ევა, შენს შვილს აუცილებლად ვიპოვი. ჩემი ხალხი უკვე ნავიდა მის მოსაძებნად.

- მეშინია, ზურაბ... ძლივს წარმოთქვა ევამ და ისევ ტირილი დაიწყო...

დამნუხრებული და ცრემლმორეული ევა უფრო მშვენიერი იყო... მაღალაშვილი ახლოს მივიდა ქალთან, წამოაყენა სკამიდან, მკლავები შემოაჭდო, მკერდზე მიიკრა და ვნებამორეული ხმით უთხრა:

- შენ და შენი გოგო ჩემთან გადმოდი თ სახლში და აქ არაფრის აღარ შეგეშინდება.

ევას ხმა არ ამოუღია. ქვითინებდა და მაღალაშვილის მკერდზე მიყრდნობილს მხრის თავები უკანკალებდა.

ქალის ცრემლებით დასველებული ზურაბი კი ფართოდ გახელილი თვალებით უაზროდ იყურებოდა და განუხსაზღვრელ შინაგან კმაყოფილებას გრძნობდა.

მიზანი მიღწეული იყო.

შერმადინის და ევას ვაჟის, მალხაზის ერთკვირიანმა ძებნამ შედეგი არ გამოიღო. მამასახლისმა ევას დასანახად ორჯერ მეტი ხალხი გაგზავნა ბიჭის მოსაძებნად, სინამდვილეში ისინი სხვა საქმეზე ნავიდნენ. ამასობაში კი ზურაბმა ევას შესთავაზა ცოლად გაჰყოლოდა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ევას სხვა გზა აღარ ჰქონდა. უქმროდ დარჩენილსა და ვაჟკაცდაკარგულს ცხოვრება გაუჭირდებოდა, ქალიშვილსაც ველარ დააყენებდა გზაზე და ამიტომ თავისი ოჯახის მფარველის წინადადება მიიღო. მაღალაშვილმაც თანხმობიდან ორი კვირის თავზე ქორწილი დანიშნა. თან ევას ანუგეშებდა შენი ვაჟკაციც დაესწრება ჩვენს ქორწილსო.

ევა მიენდო მაღალაშვილს, მაგრამ როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, მამა ანტონთან მივიდა რჩევისათვის.

მამამ მოუსმინა ევას.

- გული არ მინდა გატკინო, შვილო, მაგრამ სიმართლის უთქმელობაც არ ეგების, უფლებაც არა მაქვს. ამ ცოცხალ-მკვდარ ხალხში შენი ცხოვრება არ შეიძლება.

- ცოცხალ-მკვდარში რას გულისხმობ, მამაო?

- იმას, რომ ამ სოფლის უმრავლესი მაცხოვრებელი ცოცხალია ეშმაკისათვის, ხოლო ღმერთისთვის კი მკვდარი.

- აბა რას მირჩევ, მამაო? იკითხა პასუხისაგან გაოცებულმა ევამ.

- შეუდექი ქრისტეს და მონაზვნად აღიკვეცე, რადგან ბედნიერება არასდროს გელირსება. შენ მხოლოდ შერმადინთან იქნებოდი ბედნიერი.

- ევა დაფიქრდა. ასეთ პირდაპირ პასუხებს არ ელოდებოდა მამა ანტონისაგან.

შინაგანად აღელდა, მაგრამ არ შეიმჩნია. მიხვდა, რომ მამა ანტონმა ბევრი რამ იცოდა, თორემ არ შესთავაზებდა მას მონაზვნად აღკვეცას.

ევას თვალწინ წამებში გაირბინა წარსულმა ცხოვრებამ. მერე შვილები გაახსენდა, თვალზე ცრემლი მოადგა და აღმოხდა:

- მამაო, ძალიან მინდა ღმერთთან ახლოს ყოფნა, მაგრამ შვილებს რა ვუყო?

- სახარება გვასწავლის, შვილო, - თქვა მამა ანტონმა და პირჯვარი გადაიწერა, - როდესაც ერთმა კაცმა სთხოვა მაცხოვარს მინდა რომ შემოგიდგეო, თან დააყოლა: „მაგრამ ნება მიბოძე ჯერ მივიდე და ჩემიანებს გამოვეთხოვო. მაგრამ იესომ უთხრა მას: არც ერთი კაცი, ვისაც ხელი უდევს სახნისზე და უკან კი იყურება, არ ივარგებს ღმრთის სასუფევლისათვის“.

ევა ჩანვდა იგავის შინაარსს. მიხვდა, რომ თავი უფლის სამსახურისათვის უნდა გადაედო, ხოლო შვილები კი, ღმერთის დახმარებით, თვითონ გაიკვლევდნენ გზას წუთისოფელში. ადამიანური ბუნება კი ახალგაზრდა ქალს ერისკენ ეწეოდა. კარგად იცოდა, რომ თავისი სისუსტის გამო ამ ცდუნებას ვერ გაუმკლავდებოდა და ამიტომ ხმა აღარ ამოუღია. მამა ანტონს დაემშვიდობა და მამასახლისის სახლისკენ გასწია.

- ევა, მე გელოდები, შვილო. - მოესმა მამაოს ხმა. ერთი კი შემობრუნდა ქალი, შეჩერდა, ნაძალადევად გაუღიმა მოძღვარს და მერე ისევ განაგრძო გზა.

* * *

მამასახლისმა ქორწილში ბევრი ხალხი დაპატიჟა. სტუმრები დედაქალაქიდანაც უნდა ჩამოსულიყვნენ. ზურაბს სურდა, რომ მთელ ქვეყანას ენახა თუ როგორი ლამაზი ქალი მოჰყავდა ცოლად, თან ისიც უნდოდა, რომ სტუმრები მალე გაეცილებინა, რათა ევასთან ერთად მისცემოდა სიყვარულის ნეტარებას. ამ განცდებით გვიან ღამით ჩაეძინა მაღალაშვილს. სიზმრებმა დატანჯა. ადგა, სახლის აივანზე გადმოდგა, გაზაფხულის სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. ისევ შეტრიალდა, წამოწვა სანოლზე. დაღლილობამ და ნერვიულობამ თავისი ქნა და მაღალაშვილს ჩაეძინა.. ესიზმრა მინდორი, რომელიც ათასფერი ყვავილებით იყო სავსე.. მიდიოდა ზურაბი ყვავილებში, თავს ბედნიერად გრძნობდა.. უცებ ყაყაჩოებიან მდელიოზე აღმოჩნდა.. გაუხარდა.. სიმსუბუქე იგრძნო, წამოწვა და კმაყოფილებისაგან სახეზე გადაისვა ხელები.. სისველე იგრძნო.. დახედა ხელებს და სულ სისხლში იყო მოსვრილი.. წამოხტა.. დაინახა, რომ ყველა ყაყაჩოდან სისხლი ჟონავდა.. გაქცევა დააპირა, მაგრამ ფეხი უტყურავდა.. სისხლი უფრო და უფრო მატულობდა.. წელამდე მიწვდა ზურაბს.. შემდეგ ყელამდე.. მერე პირამდე.. იყვირა და გიჟივით წამოვარდა სანოლიდან, ტუჩებს იკვნეტდა, ხელისგული მიიღო ბაგეებზე, მერე დახედა და სისხლი დაინახა.. თავის სიცოცხლეში პირველად შეეშინდა მაღალაშვილს, გულისცემა ხშირი ჰქონდა, მიუგდო ყური და მოეჩვენა, რომ მნათე ეკლესიის ზარებს გამალებული რეკავდა.. „ვაიო“- იყვირა და იატაკზე დავარდა.. ხმაურზე მოსამსახურე ბიჭი შემოვარდა ოთახში, რომელიც ადრე ამდგარიყო და მარანში ღვინის ჩამოსასხმელად ჭურჭელს ამზადებდა. ძლივს მოასულიერეს მაღალაშვილი. ტუჩები დასისხლიანებული ჰქონდა, ხოლო შუბლზე მოზრდილი კოპი ამოსვლოდა. ამას ისიც დაემატა, რომ დილაადრიან სოფლის ეკლესიის სტიქაროსანის მეშვეობით მამა ანტონმა აცნობა მამასახლისს, რომ არ დაარღვევდა სჯულის კანონს და წყვილს ჯვარს არ დასწერდა.

- ჯანდაბამდე გზა ჰქონია მაგ წვერებიან ეშმაკს, სულ არ მჭირდება მაგის ეკლესია და ჯვარი, - იღრიალა მაღალაშვილმა, - ქორწილი იქნება ჩემი ჯვრისწერა.

ქორწილმა ზარ-ზეიმით ჩაიარა. უამრავი სტუმარი ენვია მაღალაშვილს, ჩინიანი და უჩინო, ახლობელი და შორეული, ნათესავი და მეზობელი. დიდი ღრეობა გაიმართა. ერთი სული ჰქონდა მამასახლისს, როდის გაისტუმრებდა მექორწილებს, რომ მარტო დარჩენილიყო უკვე თავის ევასთან.

ეს დროც დადგა..

ინვა სანოლში ზურაბი და ელოდებოდა ევას. მალე ისიც გამოჩნდა. მალალაშვილი უყურებდა ევას და თვალებს არ უჯერებდა, იგი თითქოს შარავანდედით იყო შემოსილი და ისე ბრწყინავდა, რომ მალე ზურაბს თვალებიც მოსჭრა და დაუბნელა კიდეც. მალალაშვილმა ჯერ იფიქრა მეჩვენებაო, მაგრამ მოჩვენება მალე რეალობად იქცა. ველარაფერს ხედავდა, თვალებს ისრესდა, მაგრამ ამოდ.. ბოლოს იყვირა. შეშინებული ევა ოთახის კუთხეში აიტუზა. უყურებდა გაშეშებულ და თვალედაჭყეტილ მამასახლისს და ხმას ვერ იღებდა. ბოლოს ველარ გაუძლო და იკივლა..

მალალაშვილი ძლივს მოიყვანეს გონზე. მაგრამ ის ველარც აზროვნებდა და ველარც ხედავდა. ტურებიდან სისხლი სდიოდა, სახეზე თეთრი ფერი ედო. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. დღითი-დღე უკან მიდიოდა... წამოაყენებდნენ სანოლიდან, გამოიყვანდნენ აივანზე, შემდეგ ისევ ოთახში შეიყვანდნენ და ყოველდღე გრძელდებოდა ერთი და იგივე.

შეშინებულმა ევამ მიატოვა მალალაშვილი და ქალიშვილთან ერთად ისევ საკუთარ სახლში დაბრუნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, სალამოს ევას ეზოდან უცნაური ხმა შემოესმა. გაალო კარი და რას ხედავს, მალხაზი დახტის ეზოში და ძალს ეთამაშება. ლომამ იცნო პატრონი და არ ყეფდა. ევა უყურებდა შვილს და სიხარულისგან ხმას ველარ იღებდა. ბოლოს ატირდა, სწრაფად დაეშვა ეზოში და მალხაზისკენ გაიქცა, უნდოდა შვილს ჩახუტებოდა, მაგრამ ბიჭი გაუსხლტა და მოყვა ეზოში უაზროდ ხტუნვას. ევა შეცბუნდა, მიხვდა რომ შვილი შეშლილიყო ქუიდან. სულ გადაირია ქალი. ადგილზე გაშეშდა და შვილს გაქვავებული სახით უყურებდა.

- მოკვდება.. დღეს მოკვდება სატანა.. მოკვდება.. - იძახდა მალხაზი და ხტუნვა-ხტუნვით გამოხატავდა თავის სიხარულს.

- ვინ მოკვდება, შვილო?! - ტიროდა ევა.

- ისა... ისა... მამასახლისი... - ყვიროდა ბიჭი და თან გზისკენ გარბოდა. მალე თვალს მიეფარა.

- უიმე!.. უიმე!.. უიმე!.. - თავში წაიშინა ხელები ევამ და გავარდა ეზოდან.

მამასახლისის სახლისკენ გაიქცა. იქ უკვე ხალხი იყო შეკრებილი და თითქოს ყველა ცალ-ცალკე ლაპარაკობდა. როდესაც ევა ხალხს მიუახლოვდა, ყველამ უკან დაიხია და გაატარეს იგი. ეზოში, გულალმა მომაკვდავი მალალაშვილი ინვა. აივნიდან გადმომხტარა თურმე... როგორც ამბობენ, ვილაც ბიჭს დაუძახნია, ზურაბი მარტო ყოფილა, გაჭირვებით გამოსულა აივანზე და უცებ გადმოვარდნილა. ის ბიჭი კი, ხტუნვა-ხტუნვით გაქცეულა გზაზე. არავინ იცოდა ვინ იყო იგი. ხალხმა აღქაჯად მონათლა.

ზურაბი სახლში საკაცით შეიყვანეს. ფრთხილად გადააწვინეს საწოლზე. სულთმობრძავი ძლივსლა სუნთქავდა. ამხელა ვაჟკაცი ავადმყოფობისაგან დაპატარავებულიყო. მამასახლისი ბრმა თვალებს უაზროდ ატრიალებდა აქეთ-იქით. მართალია ვერ ხედავდა, მაგრამ თითქოს ხალხს ანიშნებდა რაღაცას. ბოლოს როგორც იქნა წაილულლულა.

- მარტო დამტოვეთ ევასთან.

ხალხი ნელ-ნელა გავიდა ოთახიდან. ევა და ზურაბი მარტო დატოვეს. მალალაშვილი თვალებით ჭერს მიშტერებოდა. ბოლოს ჩაისუნთქა, მოიკრიბა ძალა და დაბალი ხმით დაიწყო:

- ევა, მე შენთან დამნაშავე ვარ... ყველა უბედურება რაც შენი ოჯახის გარშემო დატრიალდა, ჩემი ბრალია... შენი ქმარიც მე მოვკალი და შენი ბიჭიც მე გავაგოე... დამაბრმავა შენმა სიყვარულმა... ეშმაკს მივყიდე სული... ღმერთმა იმიტომ წარმსტაცა სინათლე და დამაძაბუნა... ახია ჩემზე...

უცებ, რაღაც ძალამ ზურაბი საწოლიდან წამოაყენა, ევასკენ მოატრიალა თვალები და არაადამინური ხმით იკივლა:

- შენი დანახვა მინდა, ევა!!!.. ღმერთო!!!..

მერე მოწყვეტილი დაეცა საწოლზე და სული განუტევა.

ყვირილის ხმაზე ხალხი შემოცვივდა ოთახში. გაფითრებული და შეშინებული ევა, რომელიც კედელს მიკვროდა, ფრთხილად გაიყვანეს გარეთ და სახლისაკენ გააცილეს...

ორი დღის შემდეგ ეფრემიანთ გოგია იპოვეს სოფლის ბოლოს თავის დეკეულთან ერთად მგლისაგან დაგლეჯილი. თურმე გოგიას დეკეული დაუკარგავს და საძებნელად წასულა. ხალხმა ეს ამბავი უბედურ შემთხვევას მიაწერა.

სინამდვილეში კი ღვთის რისხვა დასტყდომოდა ნაფოლადარს. იმდენი ცოდვა დაგროვილიყო ამ სოფელში, რომ თუ ხალხი დროზე არ მოიქცეოდა სარწმუნოებისაკენ და არ მოინანიებდა ცოდვებს, უარესი იყო მოსალოდნელი.

ნაფოლადარში მზიანი შემოდგომა იდგა. თითქმის დავინწყებას მიეცა მალალაშვილის ამბავი. სოფელს ახალი მამასახლისი ჰყავდა. ევა კოხტაშვილი შეეგუა თავის ბედს. მალხაზს ვერსად მიაგნო. ერთადერთი, რაც მას ამქვეყნად სიცოცხლეს უხალისებდა, მისი ცამეტი წლის გოგონა - ნინო იყო. ევამ ყურად ილო მამა ანტონის შეგონებანი და ნინოსთან ერთად ეკლესიაში დაიწყო სიარული. წირვა-ლოცვაზე დასწრებამ ევას შვება მისცა, მის სულში სიმშვიდემ დაისადგურა, უფალმა სხვა მხრიდან დაანახვა ეს სამყარო.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ევას კახეთიდან, მშობლიური სოფლიდან, ბიძაშვილი ავთანდილი ესტუმრა, რომელსაც თან ევას ბავშვობის მეგობარი როსტომი ახლდა. მასპინძელი სიხარულისგან ცას ეწია. იგი ხომ დედისერთა იყო და დედმამიშვილურ სიყვარულს მოკლებულს, ბიძაშვილის სტუმრობა ძალიან გაუხარდა. აღარ იცოდა რით ესიამოვნებინა სტუმრები. კარგა ხანს ისაუბრეს. საღამოს ევამ კარგი სუფრა გაუშალა სტუმრებს. ავთანდილმა რამდენიმე ჭიქა რომ დალია, თავისი სტუმრობის მიზეზის შესახებ ალაპარაკდა:

- ევა, ჩვენები ძალიან ვნერვიულობთ, რომ შენ აქ მარტო ცხოვრობ. რალა დაგიმალო და ვერ ვისვენებთ. ძალიან გვებრალეები.

- ვიცი, ავთანდილ, რომ ნერვიულობთ, რა ვქნა, სახლ-კარს ხომ არ მივატოვებ და იქ ხომ არ ჩამოვალ. ან რომ ჩამოვიდე, თქვენ ხომ არ შემოგეკედლებით. სახლი მე არ მაქვს და კარი.

- მაგაზეც ვილაპარაკეთ ახლობლებმა და თითქოს ღმერთმა გამოგვიგზავნაო, როსტომიც მოვიდა ჩვენთან და დანარჩენს თვითონ გეტყვის.

ევამ ცნობისმოყვარეობით შეხედა ბავშვობის მეგობარს. როსტომმა დაიმორცხვა, უღვაშებზე ნერვიულად გადაისვა თითები და ამდენი ხანი ჩუმად რომ იჯდა, როგორც იქნა ალაპარაკდა:

- რავი აბა, რა ვთქვა. შენ იცი, რო ცოლი ორი წლის წინ მივაბარე მინას. იმასთან შვილი არ მაღირსა ღმერთმა და მარტო დავრჩი, - თქვა როსტომმა და გაჩუმდა.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა...

სამივენი თავჩალუნულნი ისხდნენ... როსტომმა უცებ დაარღვია სიჩუმე: - ჰოდა, მინდა, რო ცოლად გამამყვე. ეგ არი და ევა-აილო ღვინით სავსე ჯვამი, ბოლომდე დაცალა და თვალებით იატაკს დააშტერდა.

- ვაჰ! ძლივს არა თქვა, კაცო. გადაიხარხარა ავთანდილმა და ევას თვალი ჩაუკრა.

ევამ დაიმორცხვა. ხმა არ ამოუღია. ადგა სუფრიდან და აივანზე გავიდა.

- ადე, ჯო, გაყევი! უთხრა ავთანდილმა როსტომს და მუჯღუგუნი ნაჰკრა.

- სადა,ო?

- სადა და აღსტაფაში! ვინა ხარ, კაცო, შენა! ერთი ერთზე თქვენ უნდა ილაპარაკოთ, აბა მე ხომ არ ავდგები სუფრიდანა.

- ჰოო... მიხვდა როსტომი და ისიც აივანზე გავიდა.

ბოლოს ყველაფერი დამთავრდა იმით, ევამ დაკეტა თავისი ქმრის სახლი, მოჰკიდა ნინოს ხელი და მშობლიურ სოფელში როსტომთან ერთად გააგრძელა ცხოვრება.

აღბათ, ასეთია ლამაზი ქალის ბედი. ყველას უყვარს, დასტრიალებენ თავზე, ეფიცებიან სიყვარულს... ქალი კი თვითონ უბედურია... არც ამჯერად გაუმართლა ევას. როსტომი ხელმოკლედ ცხოვრობდა, თან ვერ იტანდა გერს. უფრო იმიტომ ვერ იტანდა, რომ ნინო დედის გარეშე ვერ იძინებდა და მუდმივად დედასთან იწვა ლოგინში. ვერც გაამტყუნებდი ბავშვს, რაც წამოიზარდა, მას ხომ ნორმალური ცხოვრების პირობები არ ჰქონია.

მიუხედავად ევას დიდი წინააღმდეგობისა, მამინაცვალმა ცამეტი წლის ასაკში გაათხოვა ბავშვი მეზობელ სოფელში.

* * *

როსტომის და ევას ცოლ-ქმრულმა ცხოვრებამ ორ წელზე მეტ ხანს არ გასტანა. როსტომი მძიმე ხასიათის კაცი აღმოჩნდა. ხშირად ლოთობდა. ევამ ამ მიზეზით შვილიც არ გააჩინა. ბოლოს დასცილდნენ ერთმანეთს. მიუხედავად მშობლიურ სოფელში ცხოვრებისა, ევას გული მაინც ნაფოლადარისკენ მიუწევდა. მის გულში ისევ შერმადინისადმი სიყვარული და ლტოლვა ღვიოდა. ნაფოლადარში მეუღლის საფლავი და მალხაზის სული ეგულებოდა. ვაჟი დღე და ღამ ელანდებოდა და მასთან ერთად ცხოვრებას ნატრობდა ერთ სახლში, შერმადინის სახლში.

ნაფოლადარში ჩასულ ევას სახლი ისევ იმ მდგომარეობაში დახვდა, როგორც დატოვა. მეზობლები ეზო ყურეს ყურადღებას არ აკლებდნენ. ყველას გაუხარდა ევას დაბრუნება. მალხაზის ამბავი იკითხა ევამ. არ გამოჩენილაო, უთხრეს.

ევა სახლში შევიდა, ბარგი ოთახში დააწყო და ეკლესიაში მამა ანტონთან წავიდა. მამაოს გაუხარდა მისი დანახვა. ევა ჯერ მამაოს მიერ გამოწვდილ ჯვარს ემთხვია, ხოლო შემდეგ ხელზე ეამბორა მოძღვარს. მერე ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, თავი ჩალუნა და დამნაშავესავით წარმოთქვა:

- უძღები შვილი დავბრუნდი, მამაო, მომიტყევე.

- ხვალ წირვა გვაქვს, შვილო და აღსარებისათვის მოემზადე, - უთხრა მამაომ. მერე გაელიმა, ხელი მოკიდა და ხის ძირას მდგარ სკამზე ჩამოსხდნენ ორივენი, - ახლა კი მითხარი, როგორა ხარ?

- ცუდად, მამაო. მალხაზის შესახებ არაფერი ვიცი. ლამის გავგიჟდე, რა ვქნა აღარ ვიცი.

- ღმერთი არ განირავს, შვილო. უფალი დიდია. შენ ილოცე მისთვის, განსაკუთრებით გვიან ღამით, მაშინ დედის ლოცვა მალე აღწევს ზეცამდე, - დამაჯერებლად წარმოთქვა მამაომ და ევას შეხედა, - ის აუცილებლად გამოჩნდება. გოგოს ამბავი გავიგეთ. ადრე გაგიტხოვებიათ. ქმარი თუ შეხვდა მაინც ნორმალური?

- კი, მამაო, ალექსი კარგი ბიჭია, თავზე ევლება ნინოს, ბიჭიც ჰყავთ უკვე, ვარლამი დაარქვეს. მართალია ნაადრევად გაათხოვა როსტომმა ნინო, მაგრამ ბედი კარგი შეხვდა.

- ღმერთმა დალოცოს მათი ოჯახი. თქვა მამაომ და ხელით ჯვარი გამოსახა.

ევამ დაიწყო მარტო ცხოვრება. სისტემატიურად დადიოდა ტაძარში, გვიან ღამემდე შვილებისათვის ლოცულობდა. ენეოდა სოფლურ ცხოვრებას, შრომობდა და ღმერთის მადლით ლუკმა პური არ აკლდა. ასე გადიოდა დღეები, თვეები და წლები. მიუხედავად ასაკისა, ისევე ისეთი ღამაზი იყო. სარწმუნოებასთან სიახლოვემ უფრო მშვიდი და მიმზიდველი გახადა იგი.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას წმიდა ბარბარეს ეკლესიის სტიქაროსანი ეწვია ევას. მამაო გიბარებსო უთხრა. ევა მაშინვე გამოეწყო, თავშალი მოიხვია და ეკლესიისაკენ გასწია.

- რა უნდა უნდოდეს ნეტავ მამა ანტონს? - შეეკითხა სტიქაროსანს ევა.

- არ ვიცი. უპასუხა სტიქაროსანმა და თან ღიმილი მოეფინა სახეზე.

ევა მიხვდა, რომ ცუდი არაფერი მომხდარა და აღარ ჩაეძია სტიქაროსანს, არ უნდოდა უხერხულობაში ჩაეყენებინა ეკლესიის მსახური.

მამა ანტონი ეკლესიის ეზოში შავ ანაფორაში გამონყობილ მღვდელს ესაუბრებოდა. იგი ზურგით იდგა. როდესაც ევა მიუახლოვდა, ჩვეულებისამებრ მამაოს მიეახლა, წესისამებრ ჯვარს ემთხვია და ხელზე ეამბორა. მერე თავდახრილი მეორე მღვდლისაკენ შეტრიალდა. ევა სახტად დარჩა. მის წინ მისი ვაჟი მალხაზი იდგა. ქალმა ხმა ვერ ამოიღო. ხან მამა ანტონს შეხედავდა, ხან კი შვილს. ბოლოს მამა ანტონმა ხელი მოკიდა და სკამზე დაჯდომა შესთავაზა.

ევა ხმას ვერ იღებდა. დაჯდა სკამზე, სტიქაროსნის მიერ მოწოდებული წყალი დალია, ხელები მუხლებზე დაიდო და ახლა შვილს მიაშტერდა.

- რა იყო, დედი? ვედარ მიცანი? - გაულიმა მალხაზმა.

- დედა გენაცვალოს, შვილო. ღმერთო, დიდება შენს სახელს, - თქვა ევამ, პირჯვარი გადაინერა და ახლა მამაოს მიმართა, - რა ხდება ჩემს თავს, მოძღვარო, იქნება ამიხსნათ?!

- დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი, ამ სიტყვებს ჩვენ ხშირად ვიმეორებთ ხოლმე. უფლისათვის შეუძლებელი არაფერია. მალხაზი, ამჯერად უკვე ბერი მამა ლუკა, გარეჯის ნათლისმცემლის ეკლესიიდან გამოგზავნეს ჩვენთან, - თქვა მამაომ, გაელიმა და განაგრძო, - ასე, რომ შენს მაგივრად ის აღიკვეცა.

- შვილო!.. მამაო!.. - დაიბნა ევა, - შენი ასავალ-დასავალი არ ვიცოდით არავინ.. საიდან?.. სად?..

- დედა, - ღმილით წარმოთქვა მამა ლუკამ და დედას შუბლზე ეამბორა, - მე ის დრო აღარც მახსოვს, როდესაც გიჟივით დავრბოდი წინ და უკან. ისიც არ ვიცი, როგორ მოვხდი გარეჯში ბერებთან. მათ შემიფარეს, მიმკურნალეს, ჭკუაზე და გონებაზე მომიყვანეს და მათივე დახმარებით შევუდექი ქრისტეს. ეხლა, უფლის შეწევნით, კარგად ვარ. ერთი წელია ბერად აღვიკვეცე. გულმა ნაფოლადარისკენ გამომიწია. ისიც ვიცოდი, რომ შენ აქ ჩამოხვედი დედა. ალბათ, შენს სახლში ჩემთვის ერთ ოთახს გამომიყოფ საცხოვრებლად?

- რას ამბობ, შვილო! - მუხლებზე დაეცა ევა, - ამ დღეს ვნატრობდი. ღმერთო, დიდებულო! გმადლობთ შვილის დაბრუნებისათვის... მამაო ანტონ, ეხლა მივხვდი, რა დიდი ძალა ჰქონია დედის ლოცვებს... გმადლობთ!... გმადლობთ!... მაპატიე, შვილო!...

მუხლებზე მდგარმა ევამ მიწას დაადო თავი და აქვითინდა.

მამაობმა ფეხზე წამოაყენეს ღონემიხდილი ქალი, მოასულიერეს, დააწყნარეს, სკამზე დასვეს და თვითონაც გვერდზე მიუსხდნენ.

- თავი სიზმარში მგონია, - თქვა თვალცრემლიანმა ევამ, თან შვილს სახეზე ეფერებოდა, - ვერ ვიჯერებ, რომ შენ მალხაზი ხარ.

- მე ვარ, დედა, მე ვარ, - თქვა ასევე თვალცრემლიანმა მამა ლუკამ და დედას გადაეხვია.

- ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. თქვა მამა ანტონმა, აღმოსავლეთისკენ შეტრიალდა და პირფვარი გადაინერა.

* * *

აი, ასეთი ცოდვებით სავსე ცხოვრებას ეწეოდა ქურუმთა და მეფოლადეთა ქალაქის მემკვიდრე სოფლის - ნაფოლადარის მოსახლეობა. სამწუხარო ის იყო, რომ მარტო ამ სოფელში არ ხდებოდა ასეთი უბედურება. მთელ დუნიაზე ეშმაკი გაბატონებულიყო ადამიანში გაცხადებული ეშმაკი. მაგრამ ადამიანმა თავისი ქცევით ეშმაკსაც გაასწრო. ადამის მოდგმა ასე არტისტულად ბოროტი არასდროს ყოფილა. არც მაშინ, როდესაც იგი ღმერთს პირველად დასცილდა, არც მაშინ, როდესაც უფალი ჯვარს აცვა. როდესაც ქრისტე ჯოჯოხეთში შთახდა, იქიდანაც კი არ განუდევნიათ, ხოლო დღეს ადამიანებმა განდევნეს იგი საკუთარი სხეულიდან, საკუთარი სულიდან... ჯოჯოხეთი გადმოსახლეს დედამიწაზე, დღეს ეშმაკი ჩასახლდა ადამიანში...

სრულ ჭეშმარიტებას ლაღადებს არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი: „... დღეს საზარელია დედამიწაზე ქრისტეს ხვედრი, ძმაო. ყოველი ჩემი ცოდვა ეს მისთვის წითელი პარასკევია. ჩემი ოთხი ცოდვა და მე უკვე ოთხი სამსჭვალით ჯვარს ვაცვი უფალი იესო. ყოველი შენი ცოდვა, ძმაო, მისთვის მეტი წამებაა, ვიდრე შენთვის და ჩემთვის. ცოდვის აღსრულებით შენ მას ჯვარს აცვამ. ყოველი უწმინდური ფიქრი, ყოველი ავხორცული გრძნობა ყვირის: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი, ეგე! განა მთელი ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება დიდი პარასკევი არ არის? ყოველი ჩემი ცოდვა ესაა ლურსმანი, რომლითაც მე უფლის სათუთ ხელებს ვსმჭვალავ; ყოველი ჩემი ვნება ეკალია, ყოველი ჩემი სისაძაგლე ეკლის გვირგვინია, რომელსაც ჩვენ ვადგამთ ქრისტეს თავზე...“



ვყრბან ერბოკვერცხთშვილი

ნათქვამია, „ქართველი კაცის უბედურება სამ რამეშია ჩამწყდელი: სიფიცხეში, გემოთმოყვარეობასა და სასიცოცხლოდ ბოძებული დროის ფუჭად ფლანგვაში“. ალბათ, ამის გამო თუ ჩაიბუდა საქართველოში ათასი რჯულის ადამიანი და მათი განმკითხავი არც ადრე იყო ვინმე და არც ახლა.

სოფელ ნაგუბარში, რომელიც ქართლისა და კახეთის საზღვარზე მდებარეობდა, მეცხრამეტე საუკუნემდე ათ კომლს თუ დაითვლიდით. ისინიც მტრის გამუდმებული შემოსევების გამო სულ დაძაბულობასა და შიშიანობაში ცხოვრობდნენ. არადა მამა-პაპის ადგილს ვერ ტოვებდნენ. აქ მიწები უხვ მოსავალს იძლეოდა, წყალიც კარგად უდგებოდა, საძოვრებიც ნოყიერი იყო და ამ ყველაფრის მიტოვება ქართველი გლეხისთვის ერთობ ძნელი გახლდათ.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ თუ ამ უკანასკნელის მიერ ივერთ ქვეყნის დაპყრობამ, მუსლიმანთა თარეში შეაჩერა და ქართველობაც დაიძრა მთიდან ბარისკენ. მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში სოფელ ნაგუბარში რაჭველები ჩამოსახლდნენ, რომელთაც რაჭის მეზობელი სოფლებიდან ოსებიც გამოყვინენ და ბინა ქართველების გვერდით დაიდეს. ოსის მერყევი ხასიათი კიდევ ყველამ იცის. ამიტომ ისინი შენიღბვის მიზნით სასწრაფოდ გაქრისტიანდნენ და თავიანთი ოსური გვარების ფუძეებს შვილიც მიუმატეს. მაგალითად: მარდანთევი მარდანაშვილი გახდა, ქოქოითი ქოქოშვილი და ასე შემდეგ.

საქართველოში იშვიათია სოფელი, რომ იქ სომეხი არ ცხოვრობდეს. ამ მხრივ არც ნაგუბარი იყო გამონაკლისი. ჯერ ერთი ოჯახი დასახლდა სოფელში, შემდეგ მან მეორე მოიყვანა, ამ მეორემ მესამე და იწყეს არმენებმა ნელ-ნელა გამრავლება. რჯულის შეცვლას არ აპირებდნენ, მაგრამ ეკლესიის აშენებას და რწმენის განმტკიცებას ისევ ურწმუნოება არჩიეს და გვარების გადაკეთებას მიყვეს ხელი. მესროპიანი მესროპიშვილი გახდა, ავაქიანი ავაქაშვილი, გულიოიანი გულიაშვილი და ასე, ქართველი კაცის წაყრუებით ყველამ ქართველობა მოინადინა. ნადილი ერთია, მაგრამ ჯიშს რას უშვრები? ის ხომ მაინც გამოგაჩენს და იმ თავგისა არ იყოს, ჩიტად ვერ იქცევი და ბოლოს თავგობასაც დაკარგავ. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მათ აუხდათ. მართალია სომხობა ბოლომდე ვერ დაკარგეს და ქართველობა ვერ შეისისხლხორცეს, სამაგიეროდ სომხეთის სომხებისაგან „შურტვაცებად“ მოინათლნენ, რაც ქართულად გადაბრუნებულს ნიშნავს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სოფელ ნაგუბარში სომხების რიცხვმა უფრო იმატა. ახალ-ახალი ოჯახები ჩამოსახლდნენ. ისინი ტრადიციას არ ღალატობდნენ და გვარების გადაკეთებით „ქართველდებოდნენ“. მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ამ ტრადიციამ პიკს მიაღწია. გვარგადაკეთებულ სომხებს სომხეთის სომხები ასე მოიხსენიებდნენ „ტას ჩორს რუბლიანო ვრაც“, რაც ქართულად „თოთხმეტმანეთიან ქართველს“ ნიშნავს.

ნაგუბარში ძვაძეხიანცებს არ ჰქონდათ გადაკეთებული გვარი. მას შემდეგ, რაც მათ ვაჟი შეეძინათ, გადანყვიტეს, რომ შვილის მომავლისთვის უმჯობესი იქნებოდა ქართული გვარიშვილობა, მაგრამ თავიანთი გვარის ფუძეს ქართული ვერაფრით ვერ მოარგეს. ძვაძეხიძე, ძვაძეხიშვილი, ძვაძეხვაური, ძვაძეხული ძალიან ცუდად ყლერდა. ბოლოს ადგნენ და გვარის ფუძის პირდაპირი თარგმანი გააკეთეს. ასე, რომ ძვაძეხიანცი გახდა ერბოკვერცხოშვილი.

რადგან საბჭოთა კავშირში ქართველები პირველობდნენ, ქართული გვარი ნამდვილად ნაადგებოდა ვაჟს, ხოლო ევროპულობისათვის სახელი გერმანი შეარჩიეს. თავის მხრივ გერმან ერბოკვერცხოშვილმა გაარკვია, რომ ქართველები ჭამა - სმის მოყვარულ ადამიანებს გურმანებს უწოდებდნენ და თვითონაც უზომო გემოთმოყვარეობის გამო ასო ბგერა „ე“ „უ“ - თი შეცვალა, მამის სახელი არშაკა არჩილად გადააკეთა და პასპორტში ჩაინერა გურმან არჩილის ძე ერბოკვერცხოშვილი.

გურმან არჩილოვიჩს მშობლები არშაკა და ვართანუშა ცივ ნიავს არ აკარებდნენ. დილიდან კარაქიან ხიზილალიანი ბუტერბროდებით, არაყნით და გოგლი - მოგლით რომ დაინყებდნენ, დღის განმავლობაში თორმეტჯერადი კვების შემდეგ, ვახშამს მაიონგზნასმული ლორის ორმაგი ბუტერბროდით ამთავრებინებდნენ. ბავშვისადმი ასეთმა „აღმზრდელიობითმა“ დამოკიდებულებამ მუცლის ზრდა და ტვინის დათხლება გამოიწვია. მოკლე ფეხებზე მდგარი, ღიპგადმოვარდნილი გურმანა, მხრებზე დადებული სამკუთხედი თავით, ყველას ყურადღებას იქცევდა. სახლში ქოშინით შემოსული ჩვიდმეტი წლის ბიჭისაგან, რომელსაც დეფორმირებული გარეგნობის გამო ორმოცი წლის მამაკაცის შეხედულება ჰქონდა, ხშირად გაიგონებდით ასეთ სიტყვებს:

- დედიჯან, დედიჯან შენ რომ მითხარი ჩიხირთმას მოგიმზადებო, გააკეთე როცოტა ჩავხვრიპო?

- მააშ, ეგრემც დედა გენაცვლების გურმანჩიკ, ტი მოი ზალატოი, ცავატანემ, - გამოფაშფაშდებოდა ხოლმე ვართანუშა, - მოდი, მოდი, კაკრაზ ეხლა გადმოვდგი ცეცხლიდანა.

გურმანაც მიუჯდებოდა მაგიდას, ჩახვრეჭდა ორ ან სამ მათლაფა წვნიანს, ზედ ორ ლავაშსაც დააყოლებდა, მერე მუცელზე ხელს გადაისვამდა, ერთსაც კარგად დააბოყინებდა და იტყოდა:

- იფ, იფ რა კარგია ეს ჩვენი საქართველო.

ამ სიტყვებს მშვიერ გურმანას ვერ ათქმევინებდი. ამ დროს ყველა და ყველაფერი სძულდა.

მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველოში სომხების მფარველ კომუნისტებს ძირი შეერყათ, „გაქართველებული“ სომხები ძალიან ცუდ დღეში ჩავარდნენ. აკაკისეული ლამურა უფრო უკეთეს მდგომარეობაში იყო. იმას ფრთები მაინც ჰქონდა და აქეთ იქით დაფრინავდა. „შურტვაცებმა“ კი არ იცოდნენ რა ექნათ. აღარც თავისიანები იღებდნენ და ქართველები ხომ საერთოდ არ იკარებდნენ. ეროვნულ მოძრაობაში შემთხვევით მოხვედრილმა ადამიანებმა, რომლებიც უსაქმოდ იყვნენ და რალაციით უნდოდათ თავის გამოჩენა, მაშინვე აიტაცეს ეროვნების გარეშე დარჩენილი ამდენი ხალხის საკითხი და მარტო „შურტვაცების“ კი არა, ყველა სომხის გასახლება მოითხოვეს საქართველოდან.

ერბოკვერცხოშვილები შიშისგან გარეთ აღარ გამოდიოდნენ. წასასვლელი არსად ჰქონდათ. საქართველოში კი ჭამა - სმის მეტს არაფერს აკეთებდნენ. ქვეყანა, რომელიც მათ ინახავდა, სიტბოს და საზრდოს აძლევდა, ერბოკვერცხოშვილებს და მისთანებს, ქართველების გულარხეინობის გამო, სამი საუკუნეა ფეხზე ეკიდათ. ეხლა მათ კარზე განსაცდელი მოსდგომოდა და არშაკ ერბოკვერცხოშვილმა „გლოვის ზარებს“ შემოჰკრა. დღეში ასჯერ მაინც ხელებს ზეცისკენ აღაპყრობდა ხოლმე და ბლაოდა:

- ასტვაც, ტერ ასტვაც... ვაიმე, ვაიმე მამაჯან მერნუმემ...

- კარგი არშაკოჯან, კაცო! ეხვენებოდა ვართანუშა, - ჩვენი გურმანას მიზემა, არ ინერვიულო, თავი არ მაიკლა ჯიგაროჯან... გურმანას ვილა მიხედამს, ისედაც ფერი დაკარგა ბავშვმა.

გურმანა კი იჯდა დაღონებული რბილ სავარძელში, სადაც ჭამის შემდეგ ჩაძინება უყვარდა ხოლმე, ღიპი შეთხელებოდა. ეს უკანასკნელი, ფეხზე რომ იდგა, მუხლებამდე ჰქონდა დაკიდებული. დაბაბი წვერივით დაჰფენოდა და შიშისგან გაფართოებული თვალებით უაზროდ იყურებოდა აქეთ იქით.

- ვაჰ! კაცოო... ვაჰ! კაცო... ვიშვიშებდა არშაკა, - ყველაფერზე რიგები შეიძლება, კაცო? პურის რიგში ლამის თავი გამიხეთქეს, ტალონზე ერთი კარაქი ძლივს მამცეს. ეს გურმანას ერთ ჭამაზე არ ეყოფა, საღამოს რაღა ვაჭამო კაცოო... ეს რა ცხოვრება მოვიდა, აფსუს კომუნისტების დოქტორსკი კალბასი, მერე სერვილადი, მასკოვსკი სიროი კაპრონი... გახსომს, ვართანუშ?

- მაშ, მაშ, როგორ არ მახსოვს, არშაკოჯან, - კვერი დაუკრა ვართანუშამ, - შენ რო ფულ მამცემდი ხოლმე, დილით აეროპორტში წამიყვანდი, პირველივე რეისზე მოსკოვში რო გადამაფრენდი... რა დრო იყო... ეგრევე ჩერემუშკებზე გავვარდებოდი ხოლმე ვნუკოვოს აეროპორტიდანა. იქ გასტრანომში ერთი ჩვენებური ნაცნობი სომეხი ქალი მუშაობდა. ამელია ხო გახსოვს! მაშინვე გამამატანდა ხოლმე ასტრახანსკი ჩორნი ზერნისტი იკრასა, სახალინსკი კეტოვი წითელ იკრასა, ბალიკსა, ნაირ - ნაირ კალბასებსა ვარიონისა, კაპჩონისა, სიროი კაპჩონისა... მერე რიუსკი რინოკში გავვარდებოდი ტაქსითა, სოჩინსკი სმეტანასა და სიროკებს ვყიდულობდი და ისევ უკან გამოვრბოდი, შუადღის რეისს თბილისში რო გამოვყოლოდი... რა კარქი რამე იყო არა?

- დედი, დედი... ასლუკუნდა სავარძელში გურმანა, - მეტი აღარა თქო რა, თორემ გული წამივა... ისე მამინდა მოსკოვიდან შენი ჩამოტანილი კალბასები.

- კარგი, კარგი, შვილო გურმანჯან... არ ინერვიულო მე და ჩემმა მზემა... ჩვენი დროც დადგება... აფსუს ედუარდ ამბროსოვიჩი, აფსუს, ეს რა დღეში ჩავვაგდო ზვიაგ კანსტანტინოვიჩმა, არ უნდა გვიშველო?..

ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც ერბოკვერცხოშილებს...

X X X

ქართველებმა, როგორც ყოველთვის, ქართველი და ქართული საქმის მკეთებელი კაცი ვერ შეიფერეს და პრეზიდენტად ჩამოიყვანეს საკუთარი ერის გარდა ყველა ერის მოტრფიალე და მფარველი, ნაკომუნისტარი, ნამამაძალღარი სამშობლოს მოლაღატე...

... ბნელმა მოიცვა საქართველო... ლამურებმა გაშალეს ფრთები... სატანამ დაიწყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის დაქცევა... ვინც კი ეროვნულობისკენ იყო მიდრეკილი, ყველას დასდევდნენ. ზოგი მოკლეს, ზოგიც დაიჭირეს. ქართველების უმრავლესობა ლტოლვილად იქცა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. აქამდე ქართველების სამშობლოდან გასახლების „რეკორდი“ თუ შაჰ აბასს ეკუთვნოდა, არსახსენებელმა და მაოხრებელმა იგი ერთ მილიონამდე გაზარდა...

... ხალხში ამბობდნენ: „მიტოვებულ საყდარს ეშმაკები დაეპატრონენ“...

... ქვეყნის მართვის სადავეებთან ნელ ნელა არაქართველები გამორჩნდნენ.

- არშაკო, ხომ გითხარი ღმერთი გადმოგვხედავსო, - შეჰყვირა სიხარულისგან გაოგნებულმა ვართანუშამ, - ჩვენი გურმანი ქვესადგურში დისპეჩერად დანიშნეს.

- მერე ეგ რას გვიშველის? ხელები გაშალა გვარის „დამფუძნებელმა“ უფროსმა ერბოკვერცხოშვილმა.

ვართანუშამ პალტო გაიხადა, თავშალი მოიხსნა, იქვე დივანზე დააწყო, მერე სავარძელში ჩაჯდა, ამოისუნთქა და დაიწყო:

- აი, სანამ დანიშნამდნენ, უთხრეს, სოფელში რალაცა კრუჟოკი, „მოქალაქეთა კავშირი“ უნდა ჩამოაყალიბო. თუ ამას გააკეთებ, დისპეჩერობა შენი იქნებაო.

- ეგ მოქალაქეთა კავშირი რალა კრუჟოკია?

- მგონი რალაცა ისეთი პარტიაა, კომუნისტებს რო ქონდათ.

- ჰო, ეგ კარგი, მერე?

- მერე ისა, რო, ვინც აქამდე სოფელში უფროსობდა, ისინი უნდა დაგვაჭერირო, სამაგიეროდ შენ კიდე სოფელს დენის ჩართვაში ფული გამოართვიო.

- ვახ, ვახ, ეგ რა კარქი რამე მითხარი, ვართანუშ, ზნაჩიტ გურმანას თავისი დახლი ექნება არა? თვალეები გაუბრწყინდა არშაკა-არჩილას.

- მამაშ... და ჩვენც გვეშველება. აი, ეხლა იქნიონ ჩვენმა მეზობლებმა დროშები და იძახონ ზვიატი, ზვიატი, რო შეგვჭამეს ქაჯანასავით... წადით... წადითო.. აბა ეხლაც იყვირონ. მივა გურმანა „რუბილიკთანა“ და წკაპ...

სოფელი ნაგუბარი წყვდიადმა მოიცვა. გურმანას თუ ქრთამს მიუტანდნენ, ჩართავდა თავის „რუბილიკს“, თუ არ მიუტანდნენ, არ ჩართავდა. ერთი ორჯერ სოფლის მოსახლეობა აუჯანყდა მექრთამე ერბოკვერცხოშვილს, მაგრამ გურმანამ ნარკომანი „მხედრიონელები“ მიუსია და ერთი კარგი ქართველი ვაჟკაციც შეენირა ამ ჩხუბს.

სოფლის მოსახლეობამ, რომ დაინახა გურმანა ფერზე მოვიდა, მანქანა იყიდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამინა ქალამნად, ნელ-ნელა, მაგრამ მასიურად დაიწყო გურმანას „კრუჟოკად“ წოდებულ მოქალაქეთა კავშირში განწევრიანება. ყველა მათგანს იმედი ჰქონდა, რომ გაიუმჯობესებდა მატერიალურ მდგომარეობას. შეპირებები რა თქმა უნდა, ბევრი იყო.

გურმანამ ტყუილი დაპირებებით მოქალაქეთა კავშირის რიგები საკმაო რაოდენობის ხალხით შეავსო და იმდენად გააფართოვა გავლენის სფეროები, რომ სოფლის გამგებელი მის გარეშე აღარ იღებდა გადაწყვეტილებებს.

- ენაცვალოს დედა ჩემ გურმანასა, - იტყოდა ხოლმე ვართანუშა, - რა

ტუნიანი ბიჭია, პრასტოი რუბილნიკიდან დაიწყო და უკვე სოფლის უფროსია.

გურმანაც დადიოდა სოფელში თავისი ახალი „მერსედესით“. როცა ავტომანქანიდან გადმოვიდოდა, მანქანა შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე. ლოყებლადუღაუა და ლიპგადმოგდებული ერბოკვერცხოშვილი, „სარკის დაავადების“ მიუხედავად, თავს ბედნიერად გრძნობდა.

მოსახლეობაში ჩატარებული ცრუ აგიტაციით გურმანამ მოქალაქეთა კავშირს არჩევნებში ხმათა უმრავლესობით გაამარჯვებინა და ამის გამო ახალი „რუბილნიკიც“ დაიმსახურა, გახდა რაიონის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე და ელექტროქსელების მთავარი დისპეტჩერი. ახლა მას უკვე შეეძლო, საჭიროების შემთხვევაში, წყვდიადით მოეცვა მთელი რაიონი.

ამ საქმიანობას მან წარმატებით გაართვა თავი.

ასეთი „თავდადებისათვის“ კი გურმანა რესპუბლიკის ელექტროგანათების სისტემაში დანიშნეს ერთ-ერთ დიდ თანამდებობაზე და მანაც ისე ჩააბნელა ქვეყანა, რომ ამ ჯოჯოხეთის განათებას ქრთამიც ველარ ახერხებდა. ქართული ელექტროენერჯია მეზობელ ქვეყნებში იყიდებოდა, ერბოკვერცხოშვილის ოჯახი კი მდიდრდებოდა.

„დიდი კაცი“ გახდა გურმან ერბოკვერცხოშვილი. სოფელ ნაგუბარში იშვიათადღა ჩადიოდა. ცდილობდა ღამე მისულიყო მშობლების სანახავად, რათა ხალხს თავი არ მოეებზრებინა. ყველა ფულის სასესხებლად მიდიოდა, გურმანა კი ერთი და იგივე პასუხს აძლევდა: „ფული სადა მაქს ტო, თორმეტი თვეა ხელფასი არ მოუციათ“. როგორც ჩანს მანქანებს, აგარაკებს და სახლებს ერბოკვერცხოშვილს მთავრობა ჩუქნიდა და ამ საჩუქრის გამო ბევრმა უჩივლა კიდეც, მაგრამ ვერაფერი დააკლო მოქალაქეთა კავშირის ვეტერანს.

ორი ათას სამი წლის ორი ნოემბრის არჩევნებში გურმანამ ჩვეული ენერგიულობით გააყალბა ხმები და მოქალაქეთა კავშირს რაიონის მასშტაბით გაამარჯვებინა. ამ საქმიანობის დასაფინანსებლად საჭირო თანხა გურმანას ხურდა ფულად მიაჩნდა.

- ეგეც ეგრე, ოთხი წელი კიდეც დავიკრიშები, მერე ან ძალლი იქნება, ან ძალლის პატრონი, - თქვა გურმანამ არჩევნების დამთავრებისთანავე და მეორე დილას ესპანეთში გაემგზავრა დასასვენებლად... ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა თბილისში. აეროპორტიდან სახლამდე ძლივს მიაღწია. ქუჩებში უამრავი ხალხი მოძრაობდა, თითქმის ყველგან საცობები იყო და ყოველი მეორე კაცი ხუთჯვრიან დროშებს აფრიალებდა.

ერბოკვერცხოშვილს ამდენი ჯვრიანი დროშები აქამდე არსად ენახა.

- რა ჯვარომანია აუტყდათ ამ ოხრებს!? ბურტყუნებდა

თავისთვის გურმანა და ხუთჯვრიან დროშებს თვალს არიდებდა. საკვირველი არაფერი იყო უღმერთო, ჯვარცმულ ღმერთს თვალს როგორ გაუსწორებდა.

მივიდა სახლში, „მერსედესი“ გარაჟიდან გამოაგორა და გეზი სოფლისკენ აიღო. ნაგუბარში რომ ჩავიდა, უკვე ღამდებოდა. სოფლის შესასვლელში ხალხი შეკრებილიყო და ხუთჯვრიან დროშებს აფრიალებდა.

- ვაჰ! აქაც ჯვრები, კაცო!? ესენი ვინ არიან, - ჩაილაპარაკა თავისთვის გურმანამ და მანქანის საყვირი ააკვივლა. ადგილიდან არავინ დაძრულა, პირიქით, ყველანი გურმანასკენ წამოვიდნენ. მანქანის შუქით განათებული მათი მოღუშული სახეები კარგს არაფერს უქადადა ერბოკვერცხოშვილს. ამიტომ მან მანქანა გააჩერა, თავი გამოყო და ხმამაღლა დაიძახა:

- ვერ მიცანით, ხალხო, მე ვარ გურმანა.

- ჰოდა, რომ გიცანით, სწორედ შენა გვჭირდება.—დაიძახა ერთერთმა ახალგაზრდამ და გურმანასაკენ წავიდა. მანქანის კარები გააღო და უთხრა ერბოკვერცხოშვილს, - აბა, ერთი ჩამობრძანდი უფროსო.

- რა ხდება, ძმებო? შესძახა გურმანამ.

- ვინ არი შენი ძმა!? შენი ძმები „აღორძინების“ მიტინგზე არიან, - უპასუხა ახალგაზრდამ, - და ესე დაგვიბარეს, გურმანა რომ მოვა, სასწრაფოდ აქ მაიყვანეთო.

- მაიცა, ტო, შაყირი იქით იყოს! გაიმკაცრა ხმა ერბოკვერცხოშვილმა.

- ეხლა დროზე გადმოდი მანქანიდან, თორემ, აი ამ დროშის ტარი მოგხვდება მაგ სამკუთხა თავშია.

- მაიცა, მაიცა კაცო, - გაცინება სცადა გურმანამ, - ერთი სოფლელები არა ვართ. ვიხუმრეთ, მორჩა.

- შენ თუ გეხუმრება, იხუმრე. ჩვენ კი საქმე გვაქვს.

ამის თქმა იყო, დაავლეს ერბოკვერცხოშვილს კისერში ხელი და გადმოაგორეს „მერსედესიდან“.

შარაგზაზე ტალახში მჯდარი გურმან ერბოკვერცხოშვილი თვალცრემლიანი უყურებდა ახალგაზრებით სავსე თავის „მერსედესს“, რომელიც ხუთჯვრიან თეთრ დროშებს მიაფრიალებდა თბილისისაკენ.

გურმანა ძლივს ადგა ფეხზე, ისევ გზაზე მიმავალ თავის მანქანას გახედა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

- სწორი უთქომთ ქართველებსა ნაგუბარში წყალი ისევ ჩაგუბდებაო, აი ეგ დროც მოსულა...

მერე შეტრიალდა, სოფელს გახედა, მშობლები და სამშობლო გაახსენდა ეროვნებადაკარგულს... ხელი ჩაიქნია და ზღაზვნითა და ქოშინით გაუდგა ნაგუბარისკენ მიმავალ გზას.



პასპორტის მკვლელები

იმ წელიწადს, მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე, წყალდიდობამ და დიდთოვლობამ რომ დაანგრია ქალაქები და სოფლები საქართველოში, აგერ უკვე შობამაც ჩაიარა და ერთი ფიფქი კი არა, ერთი წვეთი წვიმაც არ იყო ციდან ჩამოვარდნილი. ადამიანები გამომშრალი მიწასავით გახევებულები მიმოდიოდნენ ერთმანეთთან სტუმრად. ულოცავდნენ შობა-ახალ წელს, მაგრამ თოვლისა და სიცივის გარეშე მხიარულებას ის ეშხი აკლდა, რაც რაღაც განსაკუთრებულს ანიჭებს ხოლმე ადამიანს. თუ ფეხქვეშ თოვლის ხრაშუნი არ შეიგრძენი და უეცრად გამოსროლილ გუნდას თავი არ აარიდე, რაა ზამთარი და მითუმეტეს შობა-ახალი წელიწადი.

მოსახლეობის უმრავლესობას, თოვლის მოლოდინში, ღორები დასაკლავი დარჩა. ზოგი მარხვის დამთავრებას იმიზეზებდა, ზოგი ძველი ახალი წლის დადგომას. თუმცა ყველას ენატრებოდა წალამზე აშიშინებული მწვადები, მაგრამ როგორია თაკარა მზის ქვეშ გააკეთო ის, რამაც დიდი სიამოვნება უნდა მოგანიჭოს თოვლით გადათეთრებულ კარმიდამოში.

ერდოელი ბუხუტაც ელოდებოდა თოვლს.

— ბჟო! გამიგია უდაბნოში არ მოვიდვი თოვლი, ემ მთიძირა სოფელ რა ჭირი ეტაკა, თოვლი სუ იყო შობასა, ეხლა რა ღმერთი გაუნყრა?! — ბურტყუნებდა საღორესთან მოფუსფუსე ბუხუტა.

— შენც ადექი და დაკალი ქა! — მიაძახა საღორის დასუფთავებისაგან ქანცვაცლილმა ცოლმა, — სანამ ისე არ დამთბარა, რომ ამ საღორი სუნი სახლში შემოგვივარდვი. ზეგ ძველით ახალი წელია. შინაურები დაპატიჟე. რა, მხიარულება მზის ქვეშ არ შეიძლება?

ბუხუტას ცოლის შეგონება ჭკუაში დაუჯდა. თუმცა, ვინაიდან თავისი თავი ოჯახის შეუცვლელ უფროსად მიაჩნდა, თავს როგორ დაიმდაბლებდა მეუღლის წინაშე და ერთი მაგრად აყვირდა:

— ნეტა შენ ვინ გეკითხება, მე რას ვიზამ! როგორა გგონია ღორი დაკვლაი გადავდებ ახალი წლის შემდეგ?! მერე რალა გემო და ხალისი აქ გინდა ღორის ჭყვიტინსა და გინდა მწვადის ჭამასა.

მერე გაიარ-გამოიარა ეზოში და ისევ ცოლს დაუძახა:

— მარო! ერთი მაგ შენი მაგფიქშით უდაბნოში ჩემ ნათლიმამაი სოზარას დაურეკე, ხვალ დილით ოჯახით ჩამოვიდეს. ეგრე უთხარ ღორი დაკვლაზე გეპატიჟებათქო.

მარო ჩქარი ნაბიჯით წავიდა სახლისკენ. ეზო ბოლომდე არ ჰქონდა გავლილი, რომ უცებ გაჩერდა, შემობრუნდა და ქმარს მორიდებით, მაგრამ მკაფიოდ უთხრა:

— ჩემებარ დაურეკო?

—შენებ, დედიშენისამ სულ აქ არ არიან?! — იყვირა ბუხუტამ. შემდეგ მალლა აიხედა, გაიარ-გამოიარა ეზოში და განაგრძო მაროს დამოძღვრა, — ჩემ ცოლიძმაი უთხარ მოვიდეი, — მერე ისევ აფორიაქდა და დაამატა, — სიდედრი არ დავინახო აქ! მაგვი დედაც... იგეთი თვალი აქ, მწვადი არ შაინვება. ჩემ ძმაი უთხარ კიდევა, მეზობლებ მევეტყვი.

—ეეჰ! ჩაიქნია ხელი მარომ და შევიდა სახლში.

ბუხუტას ეზოში ერთ სართულიანი სახლი ედგა შუშაბანდითა და ოთხი თვალი ოთახით. ეზოს ბოლოს საძროხე და საღორე ჰქონდა აშენებული. იქვე გვერდით კაკლის დიდი ხე იდგა, სადაც სახელდახელო პურ-ღვინის გაშლისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი. ჩარდახის ქვეშ მაგიდა, სკამები და პატარა კარადა ჯამ-ჭურჭელისათვის. მარანი სახლის ბოლო ოთახში ჰქონდა. დანარჩენი სამი ოთახი და შუშაბანდი საცხოვრებლად ჰყოფნიდა ცოლ-ქმარს, რადგან უშვილოდ გადადებულნი მარტო ცხოვრობდნენ. ამის გამო სულ ეზუზღუნებოდა ქმარი ცოლს. თუმცა რომლის ბრალი იყო უშვილობა მხოლოდ ღმერთმა იცოდა, რადგან ექიმთან არც ერთი მიდიოდა და არც მეორე.

რამდენიმე წლის წინ, ახლადშექმნილი ოჯახის უშვილობით შეწუხებულმა ბუხუტას სიდედრმა სიძეს ურჩია ეკლესიისათვის ცხვარი შეენირა. ბუხუტას რელიგიისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იფიქრა „ეს რომ არ გავაკეთო მერე სალაპარაკო არ გახდესო.“ იყიდა ცხვარი, ჩასვა მანქანის საბარგულში და ცოლთან და სიდედრთან ერთად სალოცავის გზას დაადგა. ტაძარი მთაგორიან ადგილას იყო და გზაც შესაბამისად ოღრო-ჩოღრო გამოდგა. სალოცავში ასულმა ბუხუტამ როდესაც საბარგული გახსნა, ბენზინის სუნი ეცა. ცუდი გზის გამო ნაჯანჯლარებ მანქანის საბარგულში პლასმასის ბოთლებში ჩასხმული ბენზინი დაღვრილიყო და ცხვარსაც დასხმოდა ზედ.

როდესაც ბენზინში დასველებული ცხვარი ეკლესიაში მიიყვანეს, მღვდელმა წესისამებრ ცხვრის შუბლზე ჯვრის გამოსანვაად სანთელი აანთო. ცხვართან სანთლის მიახლოება და მისი აალება ერთი იყო.

—არიქა! ცხვარი აფეთქდა!!! — იყვირა ყველამ ერთად და მღვდელს რომ თავისი ქურთუკით ცეცხლი არ ჩაექრო, ალბათ ცხვარი იქვე ცოცხლად შეინვებოდა.

მომხდარის შემდეგ თურმე ის მღვდელი სანთელს ჯოხზე ამაგრებდა და ისე მიჰქონდა ცხვართან, ხოლო ბუხუტას, სიდედრის დანახვაზე კი არა, ხსენებაზეც კი ელეთ-მელეთი ემართებოდა და რაც გინება ისწავლეს ქართველებმა თურქებისაგან და მონღოლებისაგან, - ყველას ერთად ამოთქვამდა ხოლმე.

რადგან ეს ყველაფერი სიდედრის ინიციატივით დაიწყო და ცხვრის აფეთქებით დამთავრდა, ბუხუტამ საბოლოოდ დაასკვნა, რომ უშვილობა თავისი ცოლის ბრალი იყო. ამიტომაც ხშირად ნაიბურდლუნებდა ხოლმე:

—ამი დაძალებით შეთქმული ცხვარი ეკლესიაში აფეთქდა და მაგი ქალი შვილ როგოლა გამიჩინდა კაცოო!

სალამოს ბუხუტამ თავისი კარის მეზობლებს ჩამოუარა და დილის რვა საათისთვის ღორის დაკვლაზე დაპატიჟა.

* * *

მეორე დღეს, ბუხუტამ და მისმა მეზობლებმა სალორეს რომ მიაკითხეს, მზე უკვე ამოსულიყო და გვარიანადაც ანათებდა.

— ბჟო! დღეი მგონი ისე დაცხება რო შეიძლება ღორი ხორცი აგვიყროდღეი. — იხუმრა ბუხუტას კარის მეზობელმა ღინცა გოგიამ.

— რავი, რა ჭირი ეტაკა ამ ამინდებსა, — ჩაიბურღლუნა თავისთვის მეორე მეზობელმა ვასომ, რომელსაც ზედმეტ სახელად ვაყას ეძახდნენ. თან გულიანად ლესავდა მასათზე დანებს, — ამბობენ ციმბირისკენ გაყინული ზღვა დნობას იწყებსო.

— კაცოო! — აყვირდა ბუხუტა, — თქვენა რა გინდათ! ე ღორი რუსეთში წაიყვანო დასაკლავადა?!

— იმათ თავისი ცეყოფათ ბჟო! — გაეცინა ღინცა გოგიას, — იმდენი ღორები ყამთ. ჯარში რო ვიყავ ციმბირშია, სუ მაგასა ვჭამდით. ზამთარში სალა, არაყი და აფიცრი ცოლები დაკა და დაკა. ესენი კიდე ამბობენ მონები ვიყავითო. აბა ეხლა წადი აფიცრი ცოლი მოგცემს? გეტყვის „უბერაისა ატსუდა ვანიუჩი ჩორნაჟოპიო.“

— ჰო კარგი ღინცავ! ქალებზე ნუ გადახვედი, — აჯიჯღინდა ბუხუტა, — წამო ღორი გამოვიყვანოთ სალორედან, წამოვაქციოთ. ვაყავ! შენ გაემზადე დასაკლავადა!

ვაყამ ახალგაღესილი ხანჯალი ისე მოიმარჯვა, თითქოს საომრად მიდისო.

— მაიცა შე ჩემის ტრუილალა! — იყვირა ღინცა გოგიამ, — განი ეგ ხანჯალი. ემანდ მე არ გამამისვა. იარალი ხმარებისა შენ რა იცი. ჯარშიც კი არა ხარ წამყოფი.

— არ წამიყვანა კომისარმა და რა ჩემი ბრალია. — იუკადრისა ვაყამ.

— მაიცა, როგო იყო რო დაგიბარეი? ერთხელ კიდე მოყე რა? — შეეხვეწა ღინცა გოგია და მასპინძელს გადაულაპარაკა, — ცოტა გავიცინოთ, ამ ღორი დაკვლაი მოვასწრებთ.

— რა როგო იყო და რაიონში დამიბარეს კომისართან. არც ვიცოდი რა უნდოდათ, — დაიწყო ვაყამ მთელი სერიოზულობით, — „რა გქვიაო?“ მე უთხარ ვაყა-მეთქი. კომისარმა მდივან ქალ გადახედა და ჰკითხა „ეგ რალა სახელიაო?“ იმანაც მხრები აიჩიქა. „რა გვარი ხარო?“

მე მეგონა ისევ სახელ მეკითხებოდა. ვუთხარი ვაყა-მეთქი. ისევ შემომხედა, მერე მდივან ქალ უთხრა „ეს მგონი გიჟიაო.“ მერე მკითხა „სადა ცხოვრობო?“ მე ისევ თავიდან დავიწყე ვაყა ვაარ-მეთქი. იმან აღარ მაცალა, რო მეთქო საიდან ვიყავი. რაც სტოლზე ქალადები იყო სუ გადაყარ-გადმოყარა, დაიწყო ღრიალი „ამ გიჟებში სად მოვედიო?“. მე უთხარ მე გიჟი არა ვარ, ვაყა ვაარ-მეთქი. ამაზე სულ გადიარია, იგეთი მიყვირა „გაცივი დაიკარგე აქედან, შენი დედაც, აქ არ დაგინახოო.“ დღესაც ვერ გავიგე რა უდოდა, რას მერჩოდა?

— რას გერჩოდა და ჯარში ვაშა-ვაშას მაგივრად ვაყა-ვაყას რო დაიძახებდი, იმ კომისარ მადლობა იტყოდნენ?! — განუმარტა ბუხუტამ დღემდე, მომხდარის გამო, გაუგებრობაში მყოფ ვაყას, — მოდი ეხლა საქმეი მივხედოთ კაცოო, დაღამდა ბჯო!

ბუხუტამ და ლინცა გოგია, როგორც იქნა, საღორედან გამოათრის მთელი წლის განმავლობაში ნასუქი ღორი და წამოაქციეს. ვაყამ არ დააყოვნა და ხანჯლის ერთი დარტყმით შეანყვეტინა ჭყვიტინი ცხოველს. ვაყამ სისხლიანი ხანჯალი ღორს ჯაგარზე გადაუსვა და გადმოუსვა, გამარჯვებულვით წამოიმართა, თავის ძმაკაცებს ქედმაღლურად გადახედა და გამომწვევად წარმოთქვა:

— ჯარში არა ვარ ნამყოფი არა?

ბუხუტა და ლინცა გაკვირვებულნი უყურებდნენ ვაყას. ასე, ერთი დაკვრით ღორის დაკვლა მართლა იშვიათი შემთხვევა იყო მათ სოფელში.

— რაღას უყურებთ! — ბრძანების კილოთი თქვა ვაყამ, — დაიწყეთ ჯაგარი გაცლა. ეგ ხომ აინცი იცით ჯარისკაცებო!

ბუხუტამ და ლინცამ ღორი იქვე სახელდახელოდ გამართულ ხის ტახტზე დადეს. ჯაგარზე დასაფარებელი ტომრები მოამზადეს და ადუღებული წყალი რომ დაასხეს ღორს, ანაზდად სამივენი აქერთ-იქით მიანყდნენ ლობე-ყორეს. ღორი წამოხტა ტახტიდან და ცოფიანი ძაღლივით დაიწყო ეზოში წინ და უკან სირბილი. რასაც დაეჯახებოდა ყველაფერს ანგრევდა. აბა ხუმრობა ხომ არ არის, ორასკილოგრამიანი მოძრავი ცხოველი, თან დაჭრილი. ღორი დარბოდა და თან ყველგან სისხლის კვალს ტოვებდა. როგორც ჩანს ვაყამ ვერ ივარგა, მიზანს ააცდინა და ცხოველი მხოლოდ დროებით გათიშა.

პირველი აზრზე ლინცა გოგია მოვიდა. გაიქცა თავისთან სახლში და სანადირო თოფი გამოიტანა. ბუხუტამ და ვაყამ თოფიანი ლინცა რომ დაინახეს, ელდანაკრავებივით სახლში შეცვივდნენ. ლინცას ყურადღება არავისთვის მიუქცევია. სათონესთან მიყუჟული და მოღრუტუნე ღორი მიზანში ამოიღო და ერთი გასროლით მიწაზე დასცა ორასკილოგრამიანი გაცოფებული ცხოველი. მერე კი, ჯერ კიდევ დენთის კვალში გახვეულ თოფს აკოცა და თავის ძმაკაცებს დაუძახა:

—ეე! ქვეშაფსიებო გამოდით ღორი გაფუფქეთ!

სახლის კარიდან ჯერ ბუხუტამ გამოყო თმაგაბურძგვნილი თავი. ვაყამ მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და ფანჯრიდან ათვალიერებდა კარ-მიდამოს. ამ უკანასკნელმა როგორც კი თვალი მოჰკრა თონესთან გაშხლართულ მკვდარ ღორს, ბუხუტას გამოასწრო სახლიდან, შუა ეზოში დადგა და დაიყვირა:

—ლინცავ! ეტყობა იმ მეხმა ისე მაგრად ჩაგიარა, რო მიზანში სროლა გისწავლია.

—მიდი შენ ღორ მიხედე! — ამაყად უპასუხა ლინცამ, თან თოფი შემართა ხელში, — მე ჯარში ნასვლამდე სწაიპერი ვიყავი.

მიუხედავად იმისა, ლინცა გოგია თავს გამარჯვებულად თვლიდა, ვაყას წარმოთქმულმა სიტყვებმა არცთუ შორეული წარსული გაახსენა და ტანში ყრუანტიელმა დაუარა. ეს ამბავი რამდენიმე წლის წინ მოხდა. ასაკში შესული ლინცა სასმელს მიეძალა. დილით არაყის გადაკვრით რომ დაიწყებდა სმას, სალამოს ღვინით ამთავრებდა.

ცოლი სულ ქოქოლას აყრიდა:

—ნეტამც მეხი ჩაგივარდეს მაგ ჭიქაშია, შელოთო!

ერთხელაც, როდესაც ლინცამ სალამოთი ღვინით სავსე ჭიქა ასწია, უღვაშებზე ხელი გადაისვა და თავისი „საფირმო“ სიტყვებით დაიწყო სადღეგრძელო:

—აი, ემ სიყვარული დიდი და ტკბილი გაგებთა...

ამ დროს ციდან იქუხა, ოთახში ცეცხლოვანი ბურთის მსგავსი რალაც ნათება შემოვარდა, გოგიას შემოუარა, ამ უკანასკნელს ღვინით სავსე ჭიქა ხელში შემოეფშვნა, შეშინებული პაპას სურათივით კედელს მიეკრა და აკანკალებული ხმით ამოილულულა:

—შენი დედა...

—მეხ რო დედა არა ჰყამ გოგი! — ნიშნის მოგებით წამოიკივლა მომხდართ გაოგნებულმა და შეშინებულმა ლინცა გოგიას ცოლმა.

გოგიამ მეუღლისაკენ გაიხედა, გადმოკარკლული და სისხლწარევი თვალები შუქნიშნის ნათურებივით აათამაშა და გულმოსულმა და მეხდაკრულმა იღრიალა:

—შენ ხო გყამ! შენი დედა...

მეორე დღეს სოფელ ერდოში ხმა გავარდა ლინცა გოგიას ამდენი ლოთობის გამო ღმერთი გაუწყრა და ჭიქაში მეხი ჩაუგდო.



ღვინის ჭიქაში მებდაცემულმა ღინცა გოგიამ, კომისრის მიერ დაწუნებულმა ვაყა-ვასომ და სალოცავში ცხვარაფეთქებულმა ბუხუტამ, როგორც იქნა შუა დღისთვის დაამთავრეს ღორის გასუფთავება და დაჭრა-დახარისხება.

— აჰა, ეგეც ეგრე, — ამოიხვნეშა ბუხუტამ, — ეხლა შეგვიძლია მწვადიც შევწვათ და თითო ჭიქაც წავუქციოთ. ერემი ნათლიმამა სადღაა კაცო!?

ამის თქმა იყო და ეზოს ჭიშკარიც გაიღო. ბუხუტას ეგონა ნათლიმამა მოვიდაო, მაგრამ არ გაუმართლა. ძმა და ცოლის ძმა ესტუმრნენ. ბუხუტას ძმას კაკოს მშობლებმა მოფერებით შუალამე დაარქვეს. თურმე რომ დაბადებულა ისეთი შავი ყოფილა, ექიმს უთქვამს: „ქალო ფეხმძიმობისას სალიარკას ხომ არ სვამდი, რა შავია ეს ბავშვიო.“ მამას თავი უმართლებია: „ეგა შუალამესაა გაკეთებული და ამიტომ მოფერებითაც მაგ სახელს დავარქმევო.“ ისე კაკო-შუალამეს ფერები ნამდვილად უყვარდა. მუდამ სასმელის მოტრფიალემ და ღვინოწრუპიამ არც მანქანის მართვა იცოდა და არც ავტომობილების მარკები აინტერესებდა. კითხვაზე „რომელ მანქანას შეიძენდი“, გიპასუხებდა — „ლურჯსაო.“ ბუხუტასი არ იყოს, შუალამესაც სიდედრი ძალიან „უყვარდა“. ხშირად იმეორებდა ხოლმე: „ჩემი სიდედრი კარგი ქალია მაგაი ვენაცვალე, ე ცოლი არ მივარგა მაგი დედა კი მ.“

ბუხუტას ცოლის ძმას ნათლობის სახელი ალექსანდრე ერქვა. რომ დაბადებულა მამამის წუნა დაურქმევია. არავინ იცის ეს სახელი ცნობილი მუტფილმის ერთ-ერთი გმირის სიყვარულისა თუ სხვა რამის გამო დაარქვა. ყველა წუნას ეძახდა შინაურიც და გარეულიც. სახელი ალექსანდრე არავის ახსოვდა. ჯარში განწვევის მონაწილეობა რომ მისვლიათ ოჯახში, მამამის კომისარიატის წარმომადგენლისათვის უკან გაუტანებია „არა, გენაცვალე ამ სახლში ალექსანდრე არავინ ცხოვრობსო.“ წუნას ახალგაზრდობაში მილიციის დაუწყია მუშაობა ოპერატიულ მუშაკად. ერთხელ თურმე ძროხის ქურდებს კვალში ჩასდგომია მარტო და ფაქტზეც დაუჭერია თუ როგორ დაკლეს საქონელი და მოამზადეს გასაყიდად. რაციით გადაუცია სამსახურში: „გამომძიებელი გამოგზავნეთ ოქმი შეადგინოსო.“ მილიციის უფროსს უთქვამს: „თავისუფალი თანამშრომელი არა მყავს და შენ თვითონ შეადგინე ოქმიო.“ წუნამ წერა-კითხვისა რა იცოდა. ქურდებს თურმე ძროხა რომ დაუკლავთ, ჯიგარი თავისთვის ჩაუყრიათ ქვაბში მოსახარშად. წუნას გაუხედავს ქვაბისკენ და უთქვამს: „ეგ ქვაბი რა ფერისაა ჯიგარი რომ იხარშებაო.“ თაღლითებს უპასუხიათ: „შენი საროჩკის ფერისააო უფროსო.“ ჰოდა წუნასაც ოქმი ასე შეუდგენია: „ცხელ კვალზე რომ დავადექი ქურდებს, ეს იქიდანაც დასტურდება, რომ ჩემი საროჩკის ფერ ქვაბში ძროხის ჯიგარი თუხთუხებდაო.“ მილიციის უფროსს ასეთ „პროფესიონალურ“ დონეზე შედგენილი ოქმი რომ წაუკითხავს, შეჰკითხვია წუნას: „შენი საროჩკა რა ფერის იყო.“ „აბა რა ვიცი უფროსო, საროჩკა ერთი ოცი ცალი მაქვს და რომელი

გაინტერესებსო.” მერე თურმე სულ სალაპარაკოდ ჰქონია: „მილიციიდან იმიტომ გამომიშვეს, რომ ქვაბებისა და საროჩკების ფერებში ვერ ვერკვეოდით.“

ეზოში წალმის ნაკვერჩხალზე ღორის მწვადები შიშხინებდა, ხოლო იქვე სახელდახლოდ გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ: ბუხუტა, ვაყა, ღინცა, წუნა და შუალამე. იყო ერთი ხორხოცი და ღვინით სავსე ჭიქების მიჭახუნებ-მოჭახუნება. კახეთში, ისე როგორც სრულიად საქართველოში, კარგად იციან პურ-ღვინის მადლი, მაგრამ გამორჩეულად სამი რამ უყვართ: „ზაოტობა,” თონესთან „პურიჭამა” და ღორის დაკვლა. ამ „დღესასწაულებზე” სუფრა მოკრძალებული, მაგრამ ყოველთვის გემრიელია. ამ შემთხვევაშიც ასე იყო: დედას პურები, გუდის ყველი, კომბოსტოსა და კიტრის მწნილი, თხლად დაჭრილი და მარილმოყრილი ბოლოკი, ფართოპირიან, ხელისთვის კარგად მისაწვდომ, სამარილეში ჩაყრილი მარილი, დოქებში ჩამოსხმული, უკვე დაღვინებული რქანითელი და საზამთროდ ციმ-ციმ შენახული ყურძნის რამდენიმე მტევანი.

ბუხუტამ ნაკვერჩხლებიდან აიღო შამფურზე აგებული, ალაგ-ალაგ დანით დასერილი და გულისწამლებად მოშიშხინე თაფლა სუკები და საგანგებოდ ხახვმოფენილ ჯამში ჩაყარა. ზევიდან მეორე ჯამი დააფარა, კარგად აჯანჯლარა, შემდეგ მოხსნა თავზე დაფარებული ჯამი და მწვადის მადის აღმძვრელმა სუნმა შურდულივით განინავარდა არა მარტო სუფრაზე, არამედ მთელ ეზოსა და შემოგარენში.

— ბჯო! ვისაც ღორის მწვადი უყვარდა და დღეი აღარ არიან ყველაი მოგონება იყოი! — დაიქუხა თამადად არჩეულმა, ან უკვე ღორისმკვლელმა და ჭიქაში მეხჩავარდნილმა ღინცა გოგიამ და რქანითელით აბობოქრებული თიხის არც თუ მომცრო ჯამი ისე ამოაშრო, რომ წვეთი არ დაუტოვებია.

ქალებმა კაცებს სახლიდან ახლად მოხარული ცხელ-ცხელი ყაურმა გამოუგზავნეს. არც კაცები დარჩენილან ვალში და მწვადებით დახუნძლული სამი დიდი შამფური მიაწოდეს მოფუსფუსე, გემრიელი სადილების კეთებაში ხელგანაფულ დიასახლისებს.

— ქალთა პერსონალ გაუმარჯოი ბჯო! — სიტყვად გაიკრიფა ღინცა, — ერა გემრიელი ყაურმა გაუკეთებიათ, სანამ ცხელია გადაიღეთ, თორემ თუ გაცივდა ამაი გემო აღარ ექნება.

— რა გაცივებს ბჯო ამ სიცხეში? — გადაიხარხარა შუალამემ, უნებურად ცას შეხედა და გაკვირვებულმა გადახედა თანამეინახეებს, — ე! ელრუბლები საიდან მოვიდნენ კაცო?

— მგონი თოვლისაა აი. — გააკეთა პროგნოზი წუნამ.

არ გავიდარამდენიმე წუთი და პირველი ფიფქებიც გამოჩნდა ციდან.

— ეჰეი! — შესძახა ბუხუტამ, — ეტყობა ჩემი სვანი ნათლიმამა მოდის და თოვლი მოაქ.

თოვლის მოსვლამ განსაკუთრებული მხიარულებით აავსო დიდი და პატარა. სანამ მოქეიფენი მაგიდის ჩარდახში გადატანით და ახალი სამწვადე ნაკვერჩხლის გაღვივებით იყვნენ დაკავებულნი, თოვამ საგრძნობლად მოუხშირა. კაცები და ქალები რომ ამ ფაცი-ფუცში იყვნენ, უცებ ეზოს ჭიშკართან მეხივით გავარდა ხმა:

— გამარჯობა!

ყველამ ჭიშკრისაკენ გაიხედა, სადაც თოვლისკაცივით დიდი და დათოვლილი მამაკაცი იდგა ქალთან და ორ ბავშვთან ერთად.

— სოზარს გაუმარჯოს! — აყვირდა და აცუნდრუკდა ღვინისგან შეზარხობებული ბუხუტა, — შამო ბჯო ოჯახში.

სოზარ მარგიანმა რამდენიმე ნაბიჯით კიდეც წაინია წინ. ქალი და ბავშვები უკან გაჰყვნენ. სოზარი შეჩერდა და ისევ ომახიანად შესძახა:

— გამარჯობა! როგორ ხარ ბუხუტი?! — ხელი ჩამოართვა თავის შვილის ნათლიას და გააგრძელა, — ეს ჩემი ცოლია, ესენი შვილები. შემდეგ ყველას ხელი ჩამოართვა.

სოზარ მარგიანი სოფელ უდაბნოს მაცხოვრებელი სვანია. ის და ბუხუტი ადრე ერთად მუშაობდნენ და ამ დროს მოხდა მათი დანათესავება. უცნაური კაცი იყო სოზარი. ერთი შეხედვით ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამეს მოიმოქმედებდა, რომ ადამიანის გაცოცებას იწვევდა.

ერთხელ სოზარი საკუთარი მანქანით ბრუნდებოდა სახლში. ნასვამი იყო. რკინიგზის გადასასვლელთან ვერ დაიჭირა საჭე და დაეჯახა მოძრავ მატარებელს. საბედნიეროდ გადარჩა. როდესაც გამოფხიზლდა

და უთხრეს რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ასეთი რამ წარმოთქვა:

— ნასვამი ვიყავი იმიტომ დამადანაშაულეს, თორემ მართალი ვიყავი!

სოფელში, ზაფხულში თითქმის ყოველდღიურად პომიდვრით მოვაჭრენი დადიოდნენ. ისინი მანქანიდან ხმამაღლა ყვიროდნენ: „პამიდორი! პამიდორი!...“ ხალხიც ყიდულობდა. რამდენიმე დღის შემდეგ სოზარი გამოუვარდა ვაჭრებს და ჩხუბი დაუნყო: „გაჩუმდით! არ მინდა კაცო ეს თქვენი პამიდორი! დამანებეთ თავი!“

როგორც ამბობენ ხიფათიანი კაცი იყო სოზარ მარგიანი, თუმცა უაღრესად კეთილი, წესიერი და უბადლო მონადირე.

სოზარმა ღორის „ქელეხის ჭირისუფლებთან“ კარგად მოილხინა, დალია, სამადლობელიც გადაიხადა თავისი დღეგრძელობისთვის. ღინცაგოგიას „ნადირობის“ შესახებ ბევრი იცინა და მერე განაგრძო:

— კაცო! ჩვენ ცუდ დღეში ვართ. უდაბნოში მგლების შემოსევია. ორმოცამდე ფარეხია და თითოეულს ხუთი-ათი მგელი დასდევს. ორასი-სამასი მგელი მაინც იქნება ტერიტორიაზე. უკვე სოფელშიც თავისუფლად დადიან. არ მოკლა, არ მოკლაო. მაშინ მოკალი,

როდესაც დაგესხმებაო. მაშინ როგორ უნდა მოკლა! მგელს აჯობებ?!
იმ დღეს ძროხა დამიგლიჯეს. წავედი და სამი მგელი მოვკალი. ატყდა
ერთი ამბავი, რატომ მოკალიო?! გუშინწინ იყო სასამართლო.

—მერე კაცო? — იკითხა ბუხუტამ, — რა გითხრეს?

ერთი თათარი ძმაკაცი მყავს, — განაგრძო სოზარმა, — ის
გამომყვა სასამართლოზე და მოსამართლეს უთხრა: „სოზარმა რომ
მგლები დახოცა ისინი აზარბაიჯანის ტერიტორიიდან იყვნენ
გადმოსულები, საქართველოს მგლები არ იყვნენო.“ „ეგ როგორაო?“
იკითხა მოსამართლემ და პროცესი გადადო. ჰოდა გუშინწინ
მოსამართლემ ეგეთი რამე თქვა: „ევროპაში ალპები ხომ იცითო. იქ
გერმანელებმა თავის ტერიტორიაზე მოკლეს დათვია, რომელიც თურმე
ძალიან აწუხებდა იქაურებს. იტალიის არასამთავრობო
ორგანიზაციებმა ერთი ამბავი ატეხეს: „ეგ ჩვენი დათვია, „ბრუნო“
ჰქვია სახელი და არ უნდა მოგეკლათო.“ გერმანელებს უთქვამთ: „ჩვენ
რა ვიცოდით ზედ ეწერა თუ რაო.“ ჰოდა იტალიელებს „ბრუნოს“
პასპორტი გამოუგზავნიათ გერმანელებისათვის, გვამი მოუთხოვიათ
და სოლიდური ჯარიმაც დაუკისრებიათ მონადირეებისათვის. ახლა შენ
და შენმა ძმაკაცმა აზერბაიჯანიდან იმ მგლების პასპორტები
მოგვიტანეთ, რომ ისინი იქაურები არიან, ჩვენ ჩამოვწერთ ამ საქმეს და
აზერბაიჯანს გადაუგზავნითო. თუ არა და ჯარიმა უნდა გადაიხადოო.“

ისედაც ჩაშავებული შუალამე უფრო ჩაშავებული და მთვრალი
თვალებით უყურებდა სოზარს. თანამეინახეებს კი ერთი ყაყანი
ჰქონდათ. ზოგი მოსამართლეს აგინებდა, ზოგი მგლებს, ზოგი ჩვენს
მთავრობას, ზოგიც აზერბაიჯანისას. ეს უკანასკნელი რა შუაში იყო
შუალამე ვერ ხვდებოდა. ბოლოს ყველა გააჩუმა და სოზარს მთელი
სერიოზულობით ჰკითხა:

—ბჟო! რა უნდა ქნა ეხლა შენა?

—მე და იბრაგიმამ, იმ ჩემმა თათარმა მეგობარმა ერთი კაცი
მოვძებნეთ ალსთაფაში. ას დოლარად ერთ პასპორტს გაგვიკეთებს.
შემოგვითვალა, თუ ბევრი იქნება ფასს დავაკლებო. ჰოდა წამოდით
ჩვენთან უდაბნოში, მაინც მორიგე ღორის გრიპი შემოდის და ღორების
თოფით ხოცვას, ისევ მგლები დავხოცოთ. ერთ მგელში მეცხვარეები სამ
ცხვარს იძლევიან. ისე რომ სარფიანი საქმეა. ღვინოც გვექნება და
ხორციც. მგლებიც აღარ ითარეშებენ.

თოვლი კი უმატებდა და უმატებდა. იწყებოდა მგლებზე
ნადირობის სეზონი.



სიყმატობი

ამერიკელი ჯეკ ბრაუნი შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატიდან გახლდათ. როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მომუშავე ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ, კავკასიის ჯორჯიაში, ანუ საქართველოში სამსახური შესთავაზა, არც კი დაფიქრებულა და ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტ წელს ზემოთ დაარსებულ ფირმასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. ისინი დაფუძნდნენ ვაკეში, ხოლო ჯეკს საცხოვრებელი ბინა ბარნოვისა და რიგის ქუჩის კუთხეში დაუქირავეს.

ასე შეუერთდა ჯერ კიდევ აზიური სუნთქვით გაჯერებულ თბილისს კიდევ ერთი იანკი. რას ვიზამთ, ცხოვრების ჩარხი ხან წალმა ტრიალებს და ხან უკუღმა. თუ აზია ოდითგან მსოფლიო ცივილიზაციის დედა იყო, ახლა ქართველებმა, თავიანთი ამპარტავნული აზროვნებიდან გამომდინარე და მსოფლიო ხალხების აზრის გაუთვალისწინებლად, ახალ პრომეთედ ამერიკელები მიიჩნიეს და ღმერთის მიერ მინიჭებული იაფეტური აზროვნება ევროპიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან იანკეთში გარეკილ სემიტებსა და ქამელებს დაუქვემდებარეს.

ჯორჯიიდან ჯორჯიაში ჩამოსული ჯეკი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, გვარად ბრაუნი, რაც ქართულად ყავისფერს ნიშნავს. ალბათ, მისი წინაპარიც აფრიკელი ან არაბი ემიგრანტი იყო, ხოლო ამ უკანასკნელთა შთამომავალი დღეს იმ ქვეყნის წარმომადგენლად მოგვევლინა, რომელსაც არც ისტორია აქვს, არც ტრადიციები, ერის არსებობაზე ხომ საუბარიც ზედმეტია...

ჯეკისთვის ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას პირველ რიგში აინტერესებდა მაღალი ანაზღაურება, რათა თავისი ცოლისთვის მიეხედა, რომელიც შვილს არ აჩენდა, რადგან იგი თავისი ცხოვრების ტვირთად მიაჩნდა, რომელიც ხელს შეუშლიდა იმ ბედნიერების მოპოვებაში, რომლის აგებასაც ჯეკის ხელფასით აპირებდა.

ჯეკ ბრაუნი საშუალო სიმაღლის, ოცდათხუთმეტი წლის ახალგაზრდა კაცი იყო. შავგვრემანი, ამერიკული იერ-სახით, მრავალი თავისი თანამემამულისაგან განსხვავებით, გამხდარი და სიცოცხლისუნარიანობას მოკლებული. ქვეყანა, სადაც ჩამოვიდა სამუშაოდ, ასევე უღიმღამო, ჩაბნელებული და ნაცრისფერი დახვდა. სამსახურში და სახლში ელექტროგენერატორის ჩართვა-გამორთვამ ეს დანადგარი შეაძულა და იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მის დანახვაზე დამამშვიდებელ აბებს ლეზულობდა.

შუქის ხშირად ნასვლა-მოსვლამ ნევროზი დამართა. სამედიცინო შემონების შემდეგ ექიმმა წამლებთან ერთად ბუნების წიაღში სეირნობა გამოუწერა. ამასთან, ურჩია, სახლში ელექტროგენერატორი აღარ ჩაერთო და სანთლით გაენათებინა ოთახები, რაც დაანყნარებდა მის გონებას.

როდესაც, სამსახურში ჯეკის სამედიცინო დიაგნოზი წაიკითხეს, გადაწყვიტეს იგი სამშობლოში დაებრუნებინათ, მაგრამ ბრაუნმა თვითონ განაცხადა უარი, ხელფასის დაკარგვა არ უნდოდა, არადა, როგორც სპეციალისტი, ძალიან ძლიერი იყო და ოფისის ხელმძღვანელიც დათანხმდა მის დატოვებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ თბილისში აღარ იმუშავებდა და ვინაიდან ექიმმა ბუნებასთან ახლოს ყოფნა ურჩია, ყვარლის ოფისში დანიშნეს მენეჯერის თანამდებობაზე. ჯეკი იოლად შეეჩვია ახალ სამსახურს. დილის რვა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე ოფისში მუშაობდა, ხოლო შემდეგ ყვარლის ტყეებში დასეირნობდა. საღამოს დაღლილ-დაქანცული მივიდოდა ხოლმე ბინაში, რომელიც რაიონის ცენტრში ჰქონდა დაქირავებული, დაანთებდა რუსული წარმოების პარაფინის სანთელს, მოემზადებოდა მეორე დღისთვის და შემდეგ დილამდე გაუნძრევლად ეძინა ძველმოდურ ზამბარებიან სანოლში.

გაუთავებელ მიტიჩგებს, რევოლუციებს, სახელმწიფო გადატრიალებებს და სხვა მსგავს, ვითომ მამულიშვილურ მოვლენებს, ქვეყნის დაქცევა მოჰყვა. სამსახურსა და საქმელ-სასმელს მოკლებული ხალხი ლობე-ყორეს აწყდებოდა, რომ როგორმე გაეტანა თავი. თურქეთიდან შემოზიდული მდარე ხარისხის საკვებს ადგილობრივებმა თავიანთი ფალსიფიცირებული დაუმატეს და იყო ერთი ორომტრიალი სამომხმარებლო ბაზარზე. პროდუქტის ყიდვას რომ დააპირებდი, ყველანაირად უნდა გაგესინჯა და გაგეგო მისი წარმომავლობა, თორემ რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება შენს ახლობლებს ფეხზე დგომით და ღვინით სავსე ჭიქით (არყის დაღევა, მისი ფალსიფიცირების გამო, კოსმონავტის რისკის ტოლფასი იყო) ეთქვათ: „ნათელი დაადგეს იმქვეყნადო.“

ატომური ბომბის გარდა, თითქმის ყველაფერს ამზადებდნენ საქართველოში. არც ვაჟა და ტარიელი იყვნენ გამონაკლისი. ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ გარედან შეუხედავ, მაგრამ შიგნით გაკრიალებულ საამქროში შავი ხიზილალის დამამზადებელი საამქრო ჰქონდათ მონყობილი და თბილისში უშვებდნენ მაღალ დონეზე მარკირებულ „ასტრახანის“ ხიზილალას. ალბათ, იკითხავთ: „ეგ როგორაო?!“ პასუხიც აქვია: „აი ეგრე რა, ჭრელად.“ რა უნდოდა მის დამზადებას, იყიდდი ბაზარზე ზუთხის, ან მისი „ბიძაშვილის“, მეთევზეები ბელუგად რომ მოიხსენიებენ და ქართულად სვია რომ ჰქვია, ძვლებს მოხარშავდი ზამთარში ჟელატინთან, ხოლო ზაფხულში „აგარ-აგარის“ ფხვნილთან ერთად. შემდეგ წნეხის ქვეშ წინასწარ ზომებში დახვრეტილ ცხაურში გაატარებდი, რომელიც ჩაედინებოდა მცენარეული ზეთით სავსე ავზში და მიიღებდი თეთრ ბურთულებს, რომელსაც გაავლებდი შავი ბაიხის ჩაის ხსნარში, შემდეგ ტექნოლოგის „ნოუ-ჰაუთი“ დამზადებულ საღებავში, გაურევდი სულ მცირეოდენ ე.წ. „იასტიჩნი“, ანუ ზუთხის ან სვიის მოუმწიფებელ კვერცხებს და მიიღებდი შესანიშნავ, ბიოლოგიურად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, რომელსაც შემდეგ დააფასობდნენ ასტრახანიდან შემოტანილ ქილებში, რა თქმა უნდა ქარხნის ლოგოთი დამშვენებული ხუფებით და თუ პროფესიონალი გურმანი არ იყო კაცი, ვერ გაიგებდა ეს ხიზილალა საქართველოში იყო დამზადებული თუ კასპიისპირეთში. მსხვილმარცვლოვანს კი, ე.წ. „ბელუჟნი იკრადაც“ გაასაღებდი.

ვაჟა და ტარიელი ხიზილალის ბიზნესისათვის საჭირო ყველა მონყობილობას და დასამზადებელ კომპონენტებს საქართველოში ყიდულობდნენ, გარდა შესაფუთი ქილებისა, რომელიც მათთვის ერთ ლექს გადმოჰქონდა კავკასიის მთების გავლით ყვარლის ტყეში.

- ვაჟა, უნდა ვიჩქაროთ, - თქვა ტარიელმა, როგორც კი მანქანის საჭეს მიუჯდა, - იბრაგმა თორმეტ საათზე მოვა დანიშნულ ადგილას. თუ დავაგვიანეთ, არ დაგველოდება.

- ვითომ რატომ? იკითხა ვაჟამ.

- ეშინია, ძმაო. მართალია, ეს ნარკობიზნესის ტრასა არ არის, მაგრამ მაინც ხომ კონტრაბანდულ ტავარს ეზიდება და ხიფათში რატომ ჩაიგდება თავს.

- დავაი, მაშინ დაანექი. თუ გინდა, მე დავჯდები საჭესთან.

- კაროჩე, ნავედით. - თქვა ტარიელმა, ძრავი აამუშავა და ახალთახალი ნივა ადგილიდან მოწყვიტა.

ნახევარი საათი მაინც დააგვიანდათ. ის იყო იბრაგიმა წასვლას აპირებდა, რომ ბიჭებმა შეძახილით შეაჩერეს. ქილები და ხუფები მიითვალეს. ლეკის დახმარებით მანქანაში ჩატვირთეს. ფული გადაუხადეს პარტნიორს, დაემშვიდობნენ და იქვე მოჩუხჩუხუნაკადულის პირას ჩამოსხდნენ.

- ცოტა დავისვენოთ და გავუდგეთ გზას. დღეს იქნებ სალამოს ჩამოვასხათ და ხვალ ერგნეთში გავუშვათ ტავარი, - თქვა ტარიელმა, მწვანე მოლზე ზურგით დაწვა და ცას შეხედა, - ლამაზია აქაურობა. აქ რა მოკლავს კაცს.

- ბიჭო, - გადაულაპარაკა ვაჟამ, - ამ ერგნეთში რომ დავარბენინებთ ხიზილალას, ცოტა დავაკლოთ ფასი და მალაზიებს ჩავაბაროთ.

- ეჰ, ეგ, სანამ შენ მოხვიდოდი, ცხრაჯერ ვცადე, მაგრამ ამ ჩვენს ვაჭრებს ხომ ვერაფერს შეაგნებინებ. თავისი სერთიფიკატით, ანგარიშ-ფაქტურით მიმქონდა, მაგრამ ჩვენი, ქართული შეფუთვით კაცი არ ეკარებოდა. ქართული წარწერით ხიზილალას ვინ იყიდისო. მეც ნერვები მომეშალა და გულში ჩავიდე, ნახე თუ არ გაყიდინებთ-მეთქი. იბრაგიმას შევეუკვეთე ასტრახანსკი უპაკოვკა და პირველი ორი ათასი ბანკა ერგნეთში წავიღე. თან ფასი ორი ლარით მოვუმატე. უნდა გენახა, სულ იმ სუპერმარკეტებმა დაიტაცეს, ვინც მე უარს მეუბნებოდა. ეგრეა, ძმაო, თვალი ჭამს და თვალი სვამს, - თქვა ტარიელმა, ღრმად ჩაისუნთქა ყვარლის ტყის ჰაერი და მარჯვენა მხარეს გადაბრუნდა, - ცოტას წაფუძინებ, ვაჟა, და მერე გავიდეთ. შენც არ განწყენდა ძილი, მთელი ღამე მოგვიწევს მუშაობა.

- არ მეძინება, ტო, - ჩაილაპარაკა ვაჟამ, - ნავალ ცოტას გავისეირნებ და მოვალ.

ათი წუთი არ იყო გასული, რომ ვაჟამ აქოშინებულმა მოირბინა ტარიელთან.

- ბიჭო! გაიღვიძე, ტო! დაბნეული ყვიროდა ვაჟა, - ადექი! ვილაც კაცი აგდია იქ, მგონი მკვდარია.

ტარიელი უცებ გამოერკვა. ათასმა აზრმა გაუელვა თავში. მაგრამ მაინც ძუნძულით გამოეკიდა ტყისკენ გაქცეულ ვაჟას. მართლა გულის შემანუხებელი სანახაობა დახვდათ ადგილზე. ვილაც ახალგაზრდა კაცი, რომელიც ქართველს არ ჰგავდა, გულალმა გაშლართულიყო მიწაზე. იქვე ზურგჩანთა და ხელჯოხი ეგდო. ტარიელი დაიხარა და ყური მკერდზე დაადო. უცებ წამოიძახა:

- ბიჭო, ცოცხალია! გული ფეთქავს.

უცხოტომელმა ადამიანის შეხება რომ იგრძნო, უცებ წამოჯდა და პირდაღებული უყურებდა ტარიელს და ვაჟას. მერე თითქოს გონს მოვიდაო, გაკვირვებულმა იკითხა ინგლისურ ენაზე:

-სადა ვარ?! ვინა ხართ?!

ახლა კი გამოადგა ტარიელს სკოლაში ნასწავლი ინგლისური:

-ქართველები ვართ, შენ ვინა ხარ?

-ის სად არის?! თავისას არ იშლიდა ინგლისელი.

-ვინ ის?

- ვირი, ვირი, მოტორიანი ვირი... თქვა უცხოელმა და ისევ დაკარგა გონი.

უცხოელთან მუხლზე დაჩოქილმა ტარიელმა ვაჟას ამოხედა გაფართოებული თვალებით და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- კახეთში ვირები რომ არავის აკვირვებს ეს ვიცი, მაგრამ მოტორიანი ვირებიც თუ ჰყავდათ, ნამდვილად არ ვიცოდი, - მერე თითქოს გონს მოეგო და უკვე სერიოზულად და თავდაჯერებულმა განაგრძო, - ეს გვინდოდა ტო, ეს საავადმყოფოშია წასაყვანი. ამ კონტრაბანდით სად ვატაროთ?

- მაიცა რა, ტარიელ, ვინ არის, იცი? წამოიძახა ვაჟამ, - იქნებ წამალზე ბარიგობს, უცხოელია, აპასნია, ძმაო.

ტარიელი და ვაჟა კამათში ისე გაერთნენ, რომ ვერც კი გაიგეს, როგორ მოადგა ორი ახალგაზრდა კაცი. ეტყობოდათ, რომ გრძელი მანძილი ერბინათ, ტანსაცმელი ოფლით ჰქონდათ გაჟღენთილი. მინაზე გაშოტილ უცხოელთან მდგარ გაოცებულ ბიჭებს მიახლოებისთანავე შესძახეს:

- ხალხო! აქეთ დვიჟოკიან ვირ არ ჩამაუვლია?

- რაა?! ძლივს ამოიღო ხმა გაკვირვებისაგან გაშეშებულმა ტარიელმა. მცირე პაუზის შემდეგ ხელების აქეთ-იქით ტრიალი დაიწყო და თავისთვის ჩაილაპარაკა, - ბავშვობაში ტელევიზორში მინახავს მულტფილში "კოჯრის ტყის ზღაპრები". ყვარლის ტყის ზღაპრები ნამდვილად არ გამიგია. რა ხდება, ხალხო? ჩვენ გველოდებოდით?! ან ეს ინგლისელი ვინ არის, გაგვაგებინეთ!

- ეგა? ეგა ჯეკია, - გაეცინა ერთ-ერთ მოსულს, - ჩვენ მენახირებ არ უვლიათ იმდენი ამ ტყეში, რასაც ეგ დადის. ამერიკელია! აქა მუშაობს ყვარელში, რალაცა კანტორა აქვთ, - მერე მეგობარს გახედა და უთხრა, - ვანო! რა ჯანდაბა ჭირს, ნახე აბაა...

ვანო კარგი ექიმივით დაიხარა. გადაატრიალა, გადმოატრიალა ჯეკი, მაგრამ გონზე ვერ მოიყვანა. ბოლოს კახური „წამალი“ გამოიყენა. ერთი მაგრად გაულანუნა ლოყაზე და ჯეკმაც გაახილა თვალები. მერე წამოაყენა და მართლა კახურად მიმართა:

- რომელი ბლაჭიაშვილი შენა ხარ აქრო გამოჭიმულხარ, სახლში ვერ დაიძინეებ?!

ჯეკმა ამოისუნთქა, ყველას ეგონა, გვეშველა, რამეს გვეტყვისო, მაგრამ ამერიკელმა ისევ დაიწყო ბუტბუტი:

- ვირი, ვირი... მოტორიანი ვირი...

ჯეკთან ჩაცუცქულმა ვანომ ბიჭებს ამოხედა. ორივე თვალში კითხვის ნიშანი ეხატა.

- რაო, რა თქოოო...?

- რა ვიცი, სულ მოტორიან ვირზე ლაპარაკობს, ვერაფერი გავიგეთ. უპასუხა ტარიელმა, რომელმაც თარჯიმნის თანამდებობა შეითავსა და ხელი ჩაიქნია.

ვანოს თვალები გაუბრწყინდა და სიხარულისგან გონზე მოსულ ჯეკს ეცა პერანგის საყელოში:

- ჰო, ჰო, საით წავიდა, ჯეკ?!

ამერიკელი კი ისევ გამტყნებული თვალეზით უყურებდა ვანოს.

- ხედავ, ზაურ, - დაუძახა თავის მეგობარს ვანომ, - აქეთ ჩამოუვლია გულსუნდასა, სად წავიდოდა ჰა?!

- იმაი ბიო, სანამ ბენზინი არ გაუთავდება, არ გაჩერდება, ხო იცი, - უთხრა ზაურმა, - სუ იმაი რო გაიძახი, ეკონომიური დვიჯოკი მაქო, ენდე შეიძლება გურჯაანსაც გაიცდეს.

ამ დროს დაბნეული ტარიელი მიუახლოვდა ორივეს და აღელვებულმა იკითხა:

- ხალხო, გამაგებინეთ რა ხდება? რა დვიჯოკი, რის ვირი, რა მატორი. ეს გულსუნდა ვინლაა. დავიბენით, ადამიანები არა ხართ?

ვანოს და ზაურს გაეცინათ:

- კაცოო, - დაიწყო ვანომ, - აი, ემ უტვინოებ რო გადაეყრები, მა რა მოგივა. სათევზაოდ წამოვედით, აკუმლატორები დამჯდარი იყო. ამ უტვინოებმა კი მოკლე გზა მონახეს. მოდი ვირ ავკიდოთ დვიჯოკიო, ჩვენ წყალ გავყვებით დენითაო და ვირი კიდევ დვიჯოკ ნაპირ-ნაპირ გვიტარებსო. მე უთხარ ო, ვირ რო მაგდენი ტვინი ქონდეს, რო შენი დვიჯოკი ციმ-ციმ გიტაროს ნაპირ-ნაპირ, მაშინ იმაი ვირი აღარ ერქმეოდა-მეთქი. დაგიჯერეი რო. ხოდა რო ჩამოკრეი დვიჯოკსა და რო დაიქოქა, ვირიც დაიქოქა და დაქოქილი დვიჯოკით ტყეში დარბის. წადი და ეძებე. და მგონი ეს ჯეკიც იმან გადარია იმ მართლა გადარეულმა გულსუნდამა.

- კაცო, ეგ გულსუნდა ვინლაა? არ გადამრიო, კაცო! თავს ველარ იკავებდა ისედაც ამდენი ამბის შემსწრე ტარიელი.

ვანო ცოტა უხერხულად შეიმშუშნა, მერე დაიმორცხვა და თითქოს გულიდან ამოიღო სიტყვები:

- ეგ სახელი ჩემ ვირსა ჰქვია, იმ ვერანასა, ეხლა რო პაბეგშია.

გონს მოსული და მოსულიერებული ჯეკ ბრაუნის ტარიელმა და ვაჟამ მანქანით ყვარელში ჩაიყვანეს. მომხდარზე ბევრი იცინეს, ჯეკი, როგორც იქნა, მოვიდა აზრზე. ვერც გაამტყუნებდი. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ ვირი რომ მირბის ჩართული ელექტრო გენერატორით, რას იფიქრებთ. თან მართო ხარ ტყეში.

ბოლოს დაემშვიდობნენ ერთმანეთს. მისამართები გაცვალეს და

ბიჭები თბილისისკენ გამოემართნენ.

როგორც შემდეგ გაირკვა, ვანოს ვირი გულსუნდა, გურჯაანის გზაზე უპოვიათ მართლა ვირივით გაჩერებული. როგორც ჩანს, ვილაცხას შესცოდებია ეს უწყინარი ცხოველი და მძიმე ტვირთი მოუხსნია და თან წაუღია. ვის და სად, ეს არავინ იცის გულსუნდას გარდა. იმისგან კი აბა რას გაიგებ, ის ხომ ვირია.

* * *

მომხდარის შემდეგ ჯექ ბრაუნი ყვარლიდან ისევ თბილისის ოფისში დაბრუნდა და თავის მხსნელებთან ტარიელთან და ვაჟასთან მეგობრობა განაგრძო. ბიჭებს, როგორც შეეძლოთ ისეთ მასპინძლობას უწევდნენ ჯექს. ერთი კი უნდა ითქვას, თუ ბრაუნის სამშობლოში ხიზილალა და შამპანური იშვიათ და ძვირადღირებულ სიამოვნებას წარმოადგენს, აქ თბილისში, იგი მისი ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად იქცა. ტარიელი და ვაჟა თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ ხიზილალას უგზავნიდნენ, ექვსიათას დოლარიანი ხელფასის მქონე ჯექისთვის კი შამპანურის ყიდვა ძნელი არ იყო. ბრაუნი ნაქირავებ ბინაში, ყოველ საღამოს ხან მარტო, ხან ტარიელთან და ვაჟასთან ერთად სანთლის შუქზე შამპანურის სმითა და ხიზილალის ჭამით იქარვებდა ცივილიზებულ ცხოვრებაზე მონატრებულ გულს.

ასე განვლო ორმა წელიწადმა. ჯექს კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა. ერთი სული ჰქონდა დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ ადამიანს ადამიანად ეგრძნო თავი. აღარც ხიზილალა უნდოდა და აღარც შამპანური. მისი დანახვა ხასიათს უფუჭებდა ბრაუნს.

დადგა ნანატრი დღე. ჯექს მეუღლემ დაურეკა ტელეფონზე და საგანგებოდ უთხრა, რომ მას სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით სიურპრიზს უმზადებდა, რომელსაც მხოლოდ სახლში მისვლისას იხილავდა.

იანკი წავიდა იანკეთში.

მეუღლე მას აეროპორტში დახვდა. მანქანით მიიყვანა სახლში, კარის ზღურბლთან თვალები აუხვია სპეციალურად მომზადებული შავი ქსოვილით და გააფრთხილა, რომ მხოლოდ სასტუმრო ოთახში შესვლისას მოხსნიდა თვალსაბურავს.

ჯექი აღფრთოვანებული იყო სახლში დაბრუნებით და მეუღლეს ბედნიერი სახის გამომეტყველებით მისდევდა დაპირებული სიურპრიზისკენ და აი, დადგა ნანატრი წამიც.

- ჯექ! მოემზადე! თქვა ქალმა და შავი ქსოვილი ელვის უსწრაფესად მოხსნა თვალებიდან.

ჯექს გაბადრული სახე ნელა-ნელა სასონარკვეთილებით შეეცვალა. ირგვლივ სიბნელე იყო, რასაც ჯექი საქართველოში შეეჩვია და ორიენტაცია არ გასჭირვებია. შორს, სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან, საიდანაც ქალაქის ხედი იშლებოდა, მოჩანდა პატარა მაგიდა, რომელზეც ენთო ბრაუნისთვის ნაცნობი სანთლები, ამჟამად ორი, ხოლო სანთლებს შორის მოჩანდა ყინულებით სავსე მეტალის კალათში ჩადგმული შამპანურის ბოთლი და მის გვერდით თეფშზე ლამაზად გაფორმებული შავი ხიზილალა.

ჯექმა მხოლოდ რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა მოასწრო:

- მიშველეთ... აქაც თბილისი?!

და გულწასული იანკი იანკურ იატაკზე გაიშხლართა.



*ძინი ყდოღებულებობა
ქართული ღვინო*

საქართველოში უკანასკნელ საუკუნეთა მიჯნაზე განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი რამ შეცვალა საზოგადოებრივ უთრთიერთობებში. ერთ დროს ჩაკეტილი ქვეყანა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებისათვის, საქმიანი მოღვაწეობის ასპარეზად გადაიქცა. უცხოეთის უამრავმა ფირმამ თუ კავშირმა გახსნა ოფისები (ერთ დროს კანტორას რომ ეძახდნენ) თბილისსა და რეგიონებში. ასე რომ ყველა ფუსფუსებდა, ხელს აფათურებდა, ქვეყანა კი თავის განვითარებით ვერ დაიკვებნიდა. რას იზამ, როგორც იტყვიან ყველაფერს დრო სჭირდებაო. ადამიანები კი, ამოების ბადეში გახლართულები, დროის აჩქარებულ სუნთქვას ვერ ვგრძნობთ და როდესაც მას ჩაუფკვირდებით, მაშინღა ვხვდებით თუ რა ფუჭად გაგვივლია, ისედაც მოკლე, ნუთისოფლის გზა. თუმცა მოსაგონარი კი ბევრი გვრჩება. ამოებისკენ სწრაფვამ დააკავშირა ერთმანეთს საქართველოს და საფრანგეთის ორი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაც უნდა შეესწავლათ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები, მათი წარმომავლობა და რაც მთავარია ის, თუ ქართველები რამდენად სწორად და მსოფლიოში აპრობირებული წესების შესაბამისად აყენებდნენ ღვინოს.

სასაცილოა არა? სიდრის სმით კუჭდათხელებულებმა და უმზეობით ჭორფლგადაპენტილმა ფრანგებმა ჩვენ, ღვინის გამომგონებლებს, უნდა შეგვიმონწონ რამდენად სწორედ ვაყენებთ ამ, უფლისაგან ბოძებულ სითხეს. მაგრამ რას იზამ ისტორია და ტრადიციები სხვა არის, ხოლო საქმე სხვა. ქართველებმაც არ დააყოვნეს და თავისი ფრანგი პარტნიორები ჩამოსვლისთანავე ეროვნულ მუზეუმში “გააქანეს” და მელანში აღმოჩენილი ათასწლეულების წინ ჩამოსხმული ღვინის ღმერთის ქანდაკება აჩვენეს. ფრანგებმა ღვინის ღმერთის გაშლილი ხელები და სასმისი რომ დაინახეს, აღფრთოვანებულებს აღმოხდათ “აუფფ...”, ხოლო წელს ქვევით რომ დახედეს ქანდაკებას, მცირე პაუზის შემდეგ ამოიგმინეს — “ეუფფ...” მაგრამ მაშინვე დაწყნარდნენ, რადგან ქართველი პარტნიორებისათვის გადმორიცხული გრანტები გაახსენდათ და თავის თავს შთააგონეს უფრო სერიოზულები ყოფილიყვნენ.

ერთობლივი საქმიანობის ორი კვირის თავზე, გადაწყდა, რომ დაეთვალე რებინათ მეღვინეობის ძირითადი რეგიონი — კახეთი. ნოდარ ბანელაშვილი რომელიც ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ—ერთი თანამშრომელი გახლდათ, წარმოშობით კახელი იყო და

დღესაც შენარჩუნებული ჰქონდა მამა—პაპის ადგილ—მამული სოფ. ილბლიანში, რომელიც კავკასიონის ფერდობის ძირში იყო გაშლილი. სოფელი თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლიდა. ილბლიანელების დამარცხებას მტერი ვერ ახერხებდა, რადგან სოფელებს კავკასიონის ქედში გამოთხრილი ჰქონდათ გვირაბები. გაუვალ ტყეებში შენიღბულ სამალავების აღმოჩენა ერთობ რთული საქმე იყო და ამიტომ მომხდური, მხოლოდ სოფელში დარჩენილ ქონებას თუ მოიალაფებდა და უკან ბრუნდებოდა. ხოლო ილბლიანელებს გვირაბებში ჰყავდაც ხალხიც და ფრინველ—საქონელიც. ქვევრებით სავსე იყო იქაურობა. ღვინო და წყალი არ აკლდათ და შეეძლოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილიყვნენ სამალავში. ერთი ეგ არის, რომ მზის სინათლე ენატრებოდათ. დღეს კი ამ გვირაბების ფუნქცია ღვინის შენახვა იყო. შიგნით მოწყობილი მარნების ხილვას არაფერი სჯობდა. ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულ ქვევრებსა და კასრებში მრავალწლიანი უნიკალური ქართული ღვინოები ინახებოდა. გვირაბების შესასვლელში ღია ცის ქვეშ, უღრან ტყეში, წყაროების გარემოცვაში ჩადგმულ სახელდახელო ქოხებში დავანებულ სიმყუდროვეს საუკუნეების სიღრმეში გადაჰყავდა ადამიანი, ავინყებდა მსოფლიო ცივილიზაციის ხმაურიან ატმოსფეროს და თითქოს დრო ჩერდებოდა, რომელიც არც წარსულს და არც აწმყოს არ ემორჩილებოდა. ის, იმქვეყნიური იდილიის მსგავსი რამ გახლდათ, რაც მარადისობის შეგრძნებას აღვივებდა ღმერთის მიერ ნაბოძებ სულში. თვალს მოავლებდი ქოხში კედლის განაპირას მდგომ დიდ ტახტს, მის გვერდზე მიდგმულ აკვნებს, შუა ცეცხლს, ათასნაირ საოჯახო ნივთს და მიხვდებოდი, რომ ქართველი ჭეშმარიტად ღმერთის მიერ შექმნილი მხენელ—მთესველი იყო, რომელსაც უფალმა თავისი საქმის განსახორციელებლად ეს სამოთხე უბოძა.

ფრანგები მათ წინ გადაშლილ საოცრებას გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ და მხოლოდ ფოტოაპარატების წამიერი ნათება თუ არღვევდა ირგვლივ დავანებულ მყუდროებას.

საოცრებათა სამყაროში ჩამოწოლილი სინყნარე და ძველ საქართველოში “მოგზაურობა” კარის ჭრიალმა დაარღვია. ქოხში ლოყებლაჟლაჟა, უღვაშებჩამოშვებული და გვერდზე ქუდდახურული გაღიმებული ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, პირდაპირ ნოდარ

ბანელაშვილისკენ გასწია და თან ხმამაღლა დაიწყო საუბარი:

— ნოდარ! კაცო კარდონია თუ პარდონია, ამათა ჩემგანა გადაეცი, არ მოგვივდაათ? ეგე, ის თამადაც მოგიყვანე გალმა უბნიდანა შე რო მითხარი. არ დავსხდეეთ?

— ჰო, ჰო ზაქრო, ესლავე მოვალთ ძმაო.

ზაქრომ სტუმრებისკენ გაიხედა, ქუდი მოიხადა და დაგვიანებული ბოდიში რომ მოეხადა, პირი ბოლომდე გაალო, თვალები გადმოკარკლა, ისედაც ლაჟღაჟა სახე უფრო გაუწითლდა, თავი დაიქნია და კარებში გაუჩინარდა.

ნოდარი სტუმრებს მიუახლოვდა და აცნობა, რომ მასპინძლები მათ სადილზე ეპატიჟებოდნენ. მუცელმემერთა ფრანგებში ამ ცნობამ დიდი გამოფხიზლება და ჟრიაშული გამოიწვია და ყველანი გაიკრიბნენ ქობიდან.

ქართული სუფრა იქვე გვირაბის ახლოს მდებარე ძველ მარანში იყო გაშლილი. ტყეში გვიანი გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა. მარანთან მოჩუხჩუხე წყარო მასთან მისულ ადამიანს თითქოს ესაუბრებოდა და მის მობრძანებას ლოცავდა. ერთ—ერთ ფრანგს გაოცებისაგან წამოსცდა:

— აქ ყველაფერი გელაპარაკება სულიერი თუ უსულო, თან ისეთ ენაზე, რომ ის ყველა ადამიანისთვის გასაგებია.

ნოდარმა მყისვე გადაუთარგმნა მასპინძლებს ფრანგის ნათქვამი.

— მაგაი უთხარი, რქანითელ დაელაპარაკოი და მერე იქნება მთვარეზე მოუნდვი...

— გაჩუმდი! — აღარ დაამთავრებინა ზაქროს ვანომ, — იქნება იცის ქართული და სირცხვილი უნდა ვჭამოთ?

ამ დროს ნოდარს ფრანგების არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჟაკ მათიე მიუახლოვდა, ხელი მოკიდა და განმარტოვდნენ.

— მისიე ნოდარ, თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩვენი საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, რაზეც უკვე ერთობლივად ვმუშაობთ კიდეც.

— მე მგონი პრობლემები არ გვაქვს ბატონო ჟაკ, — გაკვირვებულმა შეაგება სიტყვა ნოდარმა.

— არა, არავითარი, — გაელიმა ფრანგს, — მე, უბრალოდ თქვენ დაგიმალეთ ჩვენი პროექტის ერთი მუხლი, რაზეც პირველ რიგში ბოდიშს გიხდით, თუმცა ეს საერთო საქმეზე ზეგავლენას არ ახდენს, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ.

— გისმენთ. — მოიკრიბა ყურადღება ნოდარმა.

— როდესაც ჩვენ ქართველებთან თანამშრომლობა გადაწყვიტეთ... — მცირე ხნით შეწყვიტა საუბარი ჟაკმა და გაილიმა, — არც ვიცი დამიჯერებთ თუ არა...

— განაგრძეთ მისიე, — შეაშველა სიტყვა ნოდარმა.

— ერთი სიტყვით, — ემოციურ ფონზე გააგრძელა საუბარი ფრანგმა, — მე აქ წამოსვლამდე სიზმარი ვნახე. გამომეცხადა შავ ანაფორაში ჩაცმული კაცი, აი თქვენი სასულიერო პირის მსგავსი და

მითხრა, რომ მე ჩემს სამშობლოში მოვდიოდი, რომ ჩემი წინაპრები, ქრისტემდე მეექვსე საუკუნეში აყრილან კავკასიიდან, კერძოდ იბერიიდან და დასახლებულან ჯერ კიდევ ადამიანის მიერ აუთვისებელ ევროპაში, კერძოდ ახლანდელი გერმანიის შვაბიის მხარეში, სადაც მალალ დონეზე განუვითარებიათ მევენახეობა. ხოლო ჩემი წინაპარი შუა საუკუნეებში გადასახლებულა საფრანგეთში და იქ გაუშენებია ვენახი.

— საინტერესოა, — გაელიმა ნოდარს, — ესე იგი თქვენ ქართველი ხართ?

— დიახ, ასეა, — დაბნეული საუბრობდა მათიე, — მაგრამ საინტერესო რა არის იცით, ჩემი პაპა მიყვებოდა, რომ მასთან მეცხრამეტე საუკუნის, თუ არ ვცდები 90—იან წლებში, საქართველოდან ჩასულან შვაბები და თავიანთი თავადისთვის წაუღლიათ წითელი ყურძნის ნერგები. ეს საუკეთესო ჯიშის ყურძენია და მისგან საქართველოში მიუღლიათ შესანიშნავი წითელი ღვინო. ასე რომ ჩემს გვარს დღეს უკვე საკუთარ თანამემამულეებთან მეორე შეხვედრა აქვს. მაგრამ მარტო ამაში არ არის საქმე, — განაგრძო ჟაკმა, — მე ისევ მინდა სიზმარს დავუბრუნდე. იმ ბერმა მთავარი რაც მითხრა, ის არ მითქვამს. როდესაც ჩახვალ საქართველოში და მიგიწვევენ სუფრასთან, აუცილებლად ჩაინერე თამადის სადღეგრძელოები და შემდეგ გადაათარგმნიეო.

— არ არის პრობლემა, — აფორიაქდა მასპინძელი, — ახლავე მოვატანინებ ჩამწერს...

— არა, არა, დაწყნარდი მისიე. — გააჩერა ჟაკმა ნოდარი, — მომისმინე, დავამთავრებ საუბარს. რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, ის უკვე მომზადებული მაქვს და მინდა მხოლოდ თქვენ იცოდეთ, კონსპირაციულად ვაპირებ ჩაწერას, რომ ზედმეტი დისკომფორტი თავიდან ავაცილო ყველას. თან მინდა რომ ხელოვნური არ გამოვიდეს და რეალობასთან ახლოს იყოს. მთავარი მათქმევი კავკასიელი, — გაცხარდა გენით კიდევ ერთი ქართველი, — ნუ ჩქარობ. ერთმა მითხრა, რომ, ღმერთმა ქართველ კაცს ორი რამის წარმოების უფლება მისცა. ეს არის რკინა და ღვინო. რკინასავით მედგარი რომ არის ქართელი იმიტომ გაუძლო ისტორიის ქარტეხილსო, ხოლო ღვინო კი უფლის სისხლია, რომლითაც ძლიერდება ღვთის რჩეული ადამიანი და მუდამ ადიდებს ღმერთსო. ქართული სუფრა წმიდა წირვის გაგრძელებააო, დაუგდე თამადის სიტყვებს ყური და მიხვდები, რომ იგი ღმერთს ესაუბრება. თამადა აუცილებლად ნაზიარები უნდა იყოს ქრისტეს სისხლსა და ხორცთან, სხვანაირად ის ვერ გადმოსცემს იმას, რასაც უფალი ეუბნება მასო.

— ეს ნამდვილად ვიცი, რომ ჩვენი თამადა უფლის სისხლსა და ხორცს უკვე რამდენიმე წელია რაც სისტემატურად ეზიარება და სადღეგრძელოებიც კარგი გამოსდის, — ამაყად თქვა ნოდარმა, — თუმცა როგორც ჩვენთან იტყვიან “გაგონილს ნანახი სჯობიაო”.

შემდეგ ჟაკი დანარჩენ სტუმრებთან ერთად მიიპატიჟა ქართულ სუფრასთან. ფრანგმა კიდევ ერთხელ გააჩერა ნოდარი და სთხოვა:

— ჩაწერაზე არავისთან... ძალიან გთხოვ.

ნოდარმა თანხმობის ნიშნად ხელი ჩამოართვა და ყველას, სტუმარ—მასპინძელს სთხოვა მაგიდას შემოსხდომოდნენ.

სუფრა სანაქებო იყო. ქართულთან ერთად, ცოტა ევროპულიც. შეიძლება ითქვას მასპინძლებს გადაუჭარბებიათ კიდეც და ქართულ სასმელებთან ერთად ფრანგული, ესპანური და გერმანული ღვინოებიც იდგა სუფრაზე, შოტლანდიური ვისკიცი. ერთი სიტყვით სხვადასვა ზომის ბოთლებით და სართულებად დალაგებული საჭმელებით იყო სავსე სუფრა.

თამადაც გამოჩნდა. ჩვეულებრივი ქართული ჯიშისა და მოდგმისა, მომღიმარი სახით. გიორგი ავალიშვილი ამ მხარის შვილი გახლდათ. უაღრესად წესიერი და პატიოსანი ოჯახის შვილი, მყარი საუნივერსიტეტო განათლებით. მრავალი წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი და რაც მთავარია მართმადიდებელი ქრისტიანი. მან ჩვეულებისამებრ ხელი ჩამოართვა ყველას — სტუმარს — მასპინძელს და სუფრასთან მიიწვია. ვინაიდან სადილს სასულიერო პირი არ ესწრებოდა, გიორგიმ სანთელი აანთო, წაიკითხა ლოცვები, ჯვარი გადასახა სუფრას და სთხოვა თანამეინახეებს გაეტეხათ პური.

მცირეოდენი დანაყრების შემდეგ, თამადამ თვალით ანიშნა გვერდზე მჯდომ კოტე სუჯაშვილს, რომ ჭიქები შეევსო. როდესაც კოტემ ღვინის ბოთლის გახსნა დაიწყო, გიორგიმ გადაულაპარაკა:

— კი მაგრამ ჩვენი ქვევრის რქანითელი არ მოიტანეს?

— არაო, რა ვიცი, უხერხულია სტუმრებს არ ეწყინოს, მაინც გაუფილტრავიაო, — ლაპარაკობდა კოტე და თან ბოთლს ხსნიდა.

— მაიცა, მაიცა, — გააჩერა გიორგიმ და ნოდარს გადაულაპარაკა, — ამ გაფილტრულ ღვინით აპირებ ამ ხალხის პატივისცემას. ესენი ჩვენი ეროვნულის გასასინჯად მოვიდნენ აქ. ეს ღვინო თბილისშიც თავზესაყრელი აქვთ.

ნოდარს ხმა არ ამოუღია, მიხვდა რომ შეცდა. ზაქროს ანიშნა ღვინო მოეტანა. გახარებული ზაქრო მაშინვე გაიქცა მარანში, ათ სათლიანი ქვევრი ჰქონდა მიზანში ამოღებული. უცბათ მოხადა პირი, ორშიმოთი თიხის დოქებში ჩაასხა და მიარბენინა სუფრასთან.

— აი, ეგრე რა შე მამაცხოვნებულო. — სახე გაუნათდა გიორგის. ჭიქა შეივსო, ფეხზე ადგა და მიმართა სუფრის წევრებს, — ღრმად პატივცემულო საზოგადოებავ, სტუმრებო და მასპინძლებო, ქალბატონებო და ბატონებო, უფალმა კიდეც ერთი ლამაზი დღე გვაჩუქა ამ წუთისოფელში. ის ყოველთვის ჩვენთვის ზრუნავს და ჩვენგანაც იმასვე ელის, რომ კაცი, რომელიც მან შექმნა თავის ხატად, თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით მიემსგავსოს უფალს. სამწუხაროდ ეს ასე არ არის და ამიტომაც წმიდა იოანე ოქროპირი ჯერ კიდეც როდის ბრძანებდა: “ ადამიანო... შენი სიყვარულით გადმოვიდა ღმერთი ციდან... უფალს აფურთხეს, მან კი თავისი წმინდა ნერწყვით დაბადებიდან ბრმას თვალი აუხილა; ხელი გაართყეს, მან კი გამხმარი ხელი აღუდგინა; ებრაელებმა დევნეს იგი, მან კი დევნა მათი ცოდვები; ჯვარზე მოკლეს, როგორც

როგორც ავაზაკი, მან კი მოკლა სიკვდილი მათი; ტყვევობაში, უდაბნოში მყოფთ, მშიერთ მწყურვალთ მანანა უწვიმა, მან კი წყალი ითხოვა და ნადველი ასვეს; ზღვა განუპო ებრაელებს და გამოიყვანა, ამის სანაცვლოდ ლახვრით გვერდი გაუპეს.” თავის საქმეში განაფულებმაც ვერ ივარგეს და როგორც ილია მართალი ბრძანებდა: “თითქმის დავით წინასწარმეტყველის სიმალემდე ასულმა ქართველმა პოეტმა” დავით გურამიშვილმა სწორად თქვა: “ასეთი კარგი საჩინო, რა ცუდად მიგიჩნიესო, ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც განაბნიესო.” დიდება უფალს! მე მინდა გთხოვოთ ყველას — დიდსა და პატარას, ქუდოსან—მანდილოსანს, ავდგეთ ფეხზე და მივირთვათ უფლის სადიდებელი.

თამადამ მიირთვა სასმისით ღვინო და დაჯდა. ფეხზე მდგარი ჟაკ მათიე თარჯიმანს ყურადღებით უსმენდა. მერე კი აღფრთოვანებული შემოტრიალდა თამადისკენ, ჭიქა მალლა ასწია და დასტურის ნიშნად ქვევრის რქანითელით სავსე სასმისი ბოლომდე ჩამოცალა. უცებ შეჩერდა, ტუჩები რამდენჯერმე აამოძრავა, თითქოს დააგემოვნა ღვინო და ნოდარს ჰკითხა:

— ეს რა ღვინოა?

— ეს ის ღვინოა, — უთხრა ნოდარმა, — რომელსაც ჩვენი წინაპრები და ჩვენც ტრადიციული წესით ვაყენებთ ქვევრში, ან უტანინებიანი—გაუფილტრავი.

— რა დიდებული ღვინოა, — თქვა ჟაკმა, — აი ეს ღვინო უნდა გაიტანო მსოფლიო ბაზარზე. რატომ არ გაგაქვთ?

— არატრანსპორტაბელურია მისიე, უპასუხა ნოდარმა, — ტრანსპორტირებისას ფერს და გემოს იცვლის, ჩვენ ამას ღვინის გადაბრუნებას ვეძახით. ლამაზი ქალივით ნაზია. ისეთივე მოფერება და მოვლა უნდა, როგორც ქალს. ამიტომ ადგილიდან შორს არ მიგვაქვს თვისებები რომ არ დაკარგოს.

ჟაკ მათიე დაჯდა სკამზე და რქანითელით სავსე დოქს შეხედა. უცებ შინაგანმა ხმამ დაიწყო ლაპარაკი — “მოგეწონე? ხედავ რა მაგარი ვარ! ჯერ რამდენიმე ჭიქა კიდე დალიე, მერე ნახავ მთვარეზე ოპერის მოსმენა რომ მოგინდება.” ჟაკმა მიმოიხედა, ვინმე ხომ არ საუბრობს ზურგს უკან ან გვერდითო, მაგრამ არა. ისევ შეხედა თიხის დოქს და ხმამ ისევ გააგრძელა — “რას მიყურებ! შენ ჯერ კიდევ არ იცი ვისთანა გაქვს საქმე. შენ ეს სირისტიანი ღვინოები ხომ არ გგონივარ გვერდზე რომ დამინყეს. ღვინოს შუშაში რა უნდა, ხომ გაიგუდა. ის მინაში უნდა იყოს, რადგან მიწიდან მოდის. როგორც თევზი ვერ გაძლებს დიდხანს წყლის გარეშე, ისე ღვინოც ვერ გაძლებს მიწის გარეშე. ხომ ხედავ მე მიწის ზევითა ვარ და მაინც მინაში ვარ, მშობლიურ მინაში, ამ სირისტიანებმა კი, რომელთაც გამაგრებისათვის, წყლად რომ არ იქცნენ, სპირტს უმატებენ, თვითონაც არ იციან ვის ნათითხნ ჭურჭელში ახჩობენ. კარგი ეხლა, სადღეგრძელოს მოუსმინე და მერე გავაგრძელოთ საუბარი.”

გაოცებულმა ჟაკმა თამადისკენ გადაიხედა, რომელიც მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად ემზადებოდა. თავისთვის ჩაილაპარაკა: “მართლა სამოთხეში ვართ, მიწიერ სამოთხეში. აქ ყველა და ყველაფერი ლაპარაკობს და თან რა აზრიანად.”

ამ დროს კი გიორგიმ მორიგი სადღეგრძელოს წარმოთქმა დაიწყო:

— ჩემო კეთილო ხალხო, ჩვენს დიდ პოეტს უთქვამს — “სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა.” ქართველი კაცი უფლის სადიდებლის შემდეგ სამშობლოს სადღეგრძელოს სვამდა. ეს ქვეყანა ხომ უფლის დედის, წმიდა მარიამის წილხვედრია და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილები დღემდე სარწმუნოებით, ენით და მამულით მოვედით:

“ქართლ-კახეთი იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
რაჭა, ლეჩხუმ-ჯავახეთი
და მესხეთი სასახელო.
ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი
სვანეთი და აფხაზეთი,
ძველი ტაო, იმერ ხევი
საინგილო და ლაზეთი.
მთიულეთი საარაკო
და აჭარის ზღვა და მდელი,
ყველა ჩემი სამშობლოა
საყვარელი საქართველო!”

საქართველო და საფრანგეთი, მსოფლიოში უდიდესი და უძვირფასესი საქმის მკეთებელი ქვეყნებია. ღვინო ხომ ქრისტეს სისხლია. მამ გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, ამჟამად ადგილის დედის თამადობით! — დაამთავრა თვალზე ცრემლმორეულმა გიორგიმ სადღეგრძელო და თიხის ჯვარში ჩამოსხმულ რქანითელს დაენაფა. დაცლილი ჯვარი, მერიქიფის ხელით ჟაკს გაუგზავნა და თან გასძახა:

— ჟაკ შეუდგები ქრისტესა?

ფრანგს გადაუთარგმნეს თამადის ნათქვამი, მაგრამ გაკვირვებულმა ვერაფერი ვერ გაიგო. მხრები აიჩეჩა. გიორგიმ აუხსნა, რომ ძველ საქართველოში, სადღეგრძელოს ერთად მირთმევის მიზნით, თამადასე მიმართავდა თანამეინახეს.

— აბა, ალავერდი რაღაა? — იკითხა ქართულ სუფრაზე “გამოზრდილმა” ჟაკმა.

— დალიე რა, — მოესმა ჟაკს თიხის დოქიდან რქანითელის ხმა, — თამადას ნუ მოაცდენ, მაგას მე აგიხსნი.

შინაგანი ხმის გაგონებაზე შემკრთალ ფრანგს ღვინის დასალევად მომზადებული პირი ღია დარჩა და შემკრთალმა მზერა დოქისკენ გააპარა.

— ხო, შენ გეუბნები! — არ ისვენებდა რქანითელი, — დალიე და

დაჯექი.

ჟაკმა ჩამოცალა ღვინით სავსე ფიალა, დაჯდა და თიხის დოქს მიაშტერდა.

— ჟაკ! — დაიწყო ღვინომ საუბარი, — ალავერდი რას ნიშნავს იცი? მათიემ მხრები აიჩიქა.

რქაწითელმა განაგრძო:

— ალავერდ თურქული სიტყვაა და ღვთის ნაბოძებს ნიშნავს. მეტიჩარა ქართველების შემოტანილია ეს სიტყვა, ვითომ თურქების პატივსაცემად, სინამდვილეში ისე ჩაჭედეს ქართულ სუფრაზე, რომ დღეს ყველა, დიდი თუ პატარა, ალავერდს გაიძახის. არადა ჩვენი წესი სადღეგრძელოს გადალოცვისა იყო “შევეუდგეთ ქრისტესა”, რაც ღვინით, ანუ სიმბოლურად ქრისტეს სისხლით, როგორც ბარძიმით, ერთმანეთთან დაკავშირებას ნიშნავდა, რაც ამყარებდა იმ აზრს, რომ ქართული სუფრა წირვის გაგრძელებაა. გაიგე ფრანგო!? ეს შენ უნდა იცოდე, რადგან ღვინის ქვეყნიდან ხარ.

— უკაცრავად, — შეაწყვეტინა სიტყვა რქაწითელს ჟაკმა, — მაპატიეთ კადნიერებისთვის, სანამ კითხვას დაგისვამდეთ, იქნებ მიბრძანოთ როგორ მოგმართოდ, ღვინის დოქო? ასე!?..

— რა დოქი, რის დოქი, მე რქაწითელი მქვია, დოქი ჩემი სახლია, ჩემი შესამოსელი. შენ ხომ არ დაითვერი ჟაკ? როგორ ხასიათზე დადგები მე რომ ასე მოგმართო: ბატონო ტანსაცმელო, ან მისიე შარვალ—კოსტუმო, ჰა!?

— კარგით, კარგით მისიე რქაწითელო, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, — აკანკალებული ხმით განაგრძო საუბარი ჟაკმა, — იცით რაშია საქმე? ჩვენ როდესაც კახეთში წამოვედით, გზად რამდენიმე ისტორიული ძეგლი დაგვათვალიერებინეს, მათ შორის ულამაზესი და უმშვენიერესი ალავერდი. გამოდის რომ თურქების საპატივცემულოდ დაერქვა ამ ტაძარს სახელი თუ?...

— ეგა ჟაკ სხვა რამეა, — შეაწყვეტინა ფრანგს სიტყვა რქაწითელმა, — აი, ეხლა ჩვენ სადაც ვიმყოფებით, ამ მთებს კავკასიონი ჰქვია. კავკასიონს, გომბორის ქედსა და გარე კახეთის ზეგანს შორის მდებარე ველს, დღეს ალაზნის ველი ეწოდება. ჩვენი დიდი მეცნიერის, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ძველად თურმე ალონი ერქვა. “ველი ალონად ეწოდებოდა.” მდინარე ალაზნისაც სახელი აქედან მიუღია. ვახუშტი წერდა: “ალაზნის დასავლეთით არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა ზღუდე — პალატებიანი, გუმბათიანი, რომელმან მოილო სახელი ალონის გამო ალონგუერდი.” ესე იგი მაგ ადგილს ალონგუერდი ერქვა. არაბების და თურქების ხანგრძლივი ბატონობის დროს, ქართული ალონგუერდი თურქულ—არაბულმა სიტყვამ — ალავერდმა ჩაანაცვლა, რაც “ღვთის ნაბოძებთან” ერთად, ნაყოფიერებასთან და მოსავლიანობასთან იყო დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი ალაზნის სანახებისთვის უცხო არ არის. ჟაკ გაიგეე?

ჟაკი განცვიფრებული შესცქეროდა გაუნძრევლად მდგარ თიხის დოქს და თან თვალს თამადისკენ გააპარებდა ხოლმე, რომელიც მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ემზადებოდა.

— ბიჭო! თავი დაანებე მაგ კაცს, რა ყურები გამოუჭედე მაგ შენი დარიგებებით, — მოესმა ზურგს უკან რქანიტელს. მიიხედა და რას ხედავს, ქართული წესით დამზადებული ბოთლში ჩასხმული “ტიბაანი” ელაპარაკება. გაეცინა რქანიტელს და ღიმილით მიაძახა:

— წადი შე გაფილტრულო! კაცს რომ ძარღვებსა და ჯანს გამოაცლიან, ეს იგივეა, რომ დაასაჭურისონ. შენ ხმას ნუ იღებ. მიდი აგერ შენს უკან ბებერი ფრანგი ქალი ზის და იმას ელაპარაკე. შენ რა მოსატანი იყავი სუფრასთან.

“ტიბაანმა” ხმა ვერ ამოიღო. ან რა უნდა ეთქვა დასპირტულ—დასტირილებურ, ერთ დროს ღვინოდყოფილს.

ამასობაში თამადა ფეხზე წამოდგა და მორიგი სადღეგრძელოს წარმოთქმა დაიწყო:

— ქართული სუფრა, რომ კარგად წარიმართოს, აუცილებელია თავიდან სამი სადღეგრძელო შევსვათ. ეს არის უფლის სადიდებელი, სამშობლოს სადღეგრძელო და იმ გამირების მოსაგონარი, ვინც თავისი სიცოცხლე გასწირა ქვეყნის და ერის გადასარჩენად. პირველი ორი სადღეგრძელო ჩვენ მივირთვით. ახლა კი ის გამირები მოვიგონოთ, ვისი თავდადების სანაცვლოდ, ჩვენ ჩვენს სამშობლოში ვცხოვრობთ. გარეშე მტერთან ბრძოლა საქართველოში დღემდე გრძელდება და ამ მცირე ომებს ასობით ახალგაზრდა, საჯიშე ვაჟაკაცების სიცოცხლე შეეწირა. ასევე იყო საფრანგეთშიც. მარტო ახალგაზრდა ქალის, ჟანა დარკის გამირობა რად ღირს. გთხოვთ, ყველანი ფეხზე ავდგეთ და მივირთვათ ჩვენი გამირების შესანდობარი.

მაგიდის გარშემო სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ ერთდროულად მიირთვა სასმისი და სუფრა ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა.

თამადამ ჭაშნაგირები და მერიქიფეხები იხმო და შესაბამისი დავალებები მისცა. მერიქიფეხები ფიალების შევსებას შეუდგნენ, ხოლო ჭაშნაგირები გარეთ გავიდნენ. თამადამ ფიალა აიღო ხელში და დინჯად დაიწყო მორიგი სადღეგრძელო:

— ქალბატონებო და ბატონებო, რაც ესლა მე უნდა ვილაპარაკო, ჩვენი ქვეყნის ძირითად საქმიანობას და ამ საქმიანობის მამოძრავებელს — ვაზს შეეხება. ჩვენმა დიდმა წინაპარმა დიდი გარჯისა და ოფლის ფასად უპატრონა და გადმოგვილოცა ქართველებს ვაზის უნიკალური ჯიშები: რქანიტელი, საფერავი, ოჯალეში, ალადასტური, ცოლიკაური, ციცქა, უსახელოური და ასე შემდეგ. მან დაგვიტოვა მართალი ღვინის დაყენების რეცეპტი. ჩვენი უპირველესი ტაძრის, სვეტიცხოვლის კედელზე მან გამოსახა “სიცოცხლის ხე”, რომელიც ვაზის მტევნებით შეამკო და ამით ვაზი და ღვინო სიცოცხლეს, გადარჩენას დაუკავშირა. მან შეიცნო, რომ ღვინო ქრისტეს სისხლის წინა სახეა. ის თვით უფალმა გამოარჩია, გააკეთილშობილა და გვიკურთხა, სულისა და ხორცის საკურნებლად დაგვიდგინა. ამიტომ ვაზი ჩვენი ერის სიმბოლოა, ქრისტეს

სისხლი—მართმადიდებლობის ჭეშმარიტი განმსაზღვრელი. მის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყანა. სანამ ვაზი და ღვინოა საქართველოში, ჩვენ არ გადავშენდებით.

თამადას სიტყვა ტაშის დაკვრამ შეანყვეტინა. ფრანგები განსაკუთრებული ემოციით შეხვდნენ სადღეგრძელოს. გიორგიმ ყველას ანიშნა, რომ ჯერ სათქმელი არ დაემთავრებინა. სიჩუმემ დაისადგურა და თამადამ განაგრძო:

— ქართული ვაზის ამბავი საქართველოს უტყვი ისტორიაა. ქართველი ერის და ვაზის ბედის განუყოფლობა ისტორიამ დაადასტურა. მტერმა იცოდა, რომ ვაზის ამოძირკვით ჩვენს სულიერებას, ქართველობას ემუქრებოდა საფრთხე. ამიტომაც დაუნდობლად გვიჩხავდა ვაზს, ვენახს ნავენახარად გვიქცევდნენ, ფუძეს გვიშლიდნენ. ქართველ კაცს საბედისწერო პირობებშიც კი, ბედის ანაბარა არასოდეს მიუტოვებია ვაზი. ომებით იავარქმნილი ამოისუნთქავდა თუ არა, ვაზის გაშენებას იწყებდა. საეკლესიო მამულებში ვაზი ყოველთვის იყო ერთ—ერთი უწმიდესი მცენარე. მეფე დემეტრე პირველი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელში წმიდა ქალწულს ვაზს ადარებს: “შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული.” ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა ვაზის 524 ჯიშის ნუსხა დაგვიტოვა. ხოლო მაქსიმე რამიშვილი კი ამბობდა: “თითოეული ქართული ვაზის ჯიშში ისტორიული ძეგლია. რქანითელის, საფერავის, თავკვერის, ცოლიკაურის, ოჯალეშის, ჩხავერის, ალექსანდროულის და სხვათა შექმნაზე იმდენი შრომაა განუული, რამდენიც სვეტიცხოვლის, გელათის, გრემის, იყალთოს და სხვა ისტორიული ძეგლების მშენებლობაზე.” ამიტომაც ამბობდა წმიდა ილია მართალი: “ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა... ჩვენს ღვინოში არ არის რა, გარდა ყურძნის წვენისა.” სწორედ ასეთი ღვინო, დავით წინასწარმეტყველის თქმისა არ იყოს: “ახარებს გულსა კაცისასა.” მამ გაუმარჯოს ყველაზე სათაყვანებელ მცენარეს დედამინის ზურგზე — ვაზს.

ისევ ტაშმა იგრიალა. ფრანგები, უკვე ანითლებული ლოყებით ვერ მალავდნენ კმაყოფილებას და აღტაცებას. ერთ—ერთმა სუფრის წევრმა, რომელიც საფრანგეთის მევენახეობის მხარიდან იყო წამოიძახა:

— ერთი ჩვენებური ღვინოც გავსინჯოთ. მისი ექსპორტი საკმაოდ წარმატებულია მსოფლიო ბაზარზე.

იქვე მაგიდაზე მდგარ გაუხსნელ ფრანგულ ღვინოს მოჰკიდა ხელი და მისი გახსნა დაიწყო.

— ჰმ! — ჩაილაპარაკა თავისთვის რქანითელმა, — მაგის გახსნას ჩვენი ადესა მოატანინონ. დაიწყო სიაფანდი ღვინოების შეჯიბრი. ჟაკ! მიდი უთხარი ადესა მოიტანეთ—თქო. შენ დაგიჯერებენ.

რქანითელისაგან შეძარხოშებულმა მათიემ მართლა დაიძახა ხმამაღლა:

— ადესა გავსინჯოთ, ადესა.

თუმცა არ იცოდა რა ღვინოზე ლაპარაკობდა. ასე იცის რქანითელმა.

ნოდარს ცოტა არ იყოს გაუკვირდა სტუმრის თხოვნა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ბიჭებს ანიშნა შემოეტანათ ღვინო.

რქანითელმა გადაიხარხარა და როცა ადესა ლამაზი, გამჭირვალე შუშის დოქით წინ დაუდგეს ჟაკს, ამ უკანასკნელმა შეიცხადა:

— ეს მინაში ანუ თიხის დოქში რატომ არ არის ჩასხმული?

— მაგას რა უნდა მინაში, — გაეცინა რქანითელს, — ყვავივით ხის წვეროშია გამოკიდებული. ტყუილად კი არ უმღერიან: “ხის წვეროში ჩიტი გჭამდა გიღლით ჩამოგიტანეო, რა ყოფილხარ ყურძნის წვენო მაინც ვერ გამიტანეო.” ეხლა აიღე ეგ შენი ფრანგული ღვინო და ადესის გვერდით დადგი, როგორც ჩვენში იტყვიან: “ფერი ფერსა მადლი ღმერთსაო.” რა მაგარი დუეტი გამოუვათ. შენ კი, ჟაკ, ღვინოს ნუ აუარევ, თორემ მე უცბად ვიცი გაბრაზება, ადვილად გაგთიშავ და თამადის სადღეგრძელოების ჩანერა და პურ—მარილი უკან დაგრჩება. სჯობს ცოტა დალიო და დრო გაატარო.

ჟაკმა ცივად გაუშვა გაშეშებული ხელი მშობლიური ღვინით სავსე დაბეჭდილ ბოთლს, მიუჩინა ადვილი ადესის გვერდით, მშვიდად დაეშვა სკამზე და მოემზადა მორიგი სადღეგრძელოს მოსასმენად, რომლის წარმოთქმასაც აპირებდა ფეხზე წამომდგარი თამადა.

— მაშ ასე, ჩემო კეთილო ადამიანებო, — დაიწყო გაღიმებულმა გიორგიმ და მარჯვენა ხელი, რომელზეც ღვინით სავსე ფიალა იწონებდა თავს, ზევით ასწია, — მე მინდა ამ ლამაზი ქართული სასმისით ჩვენი წინაპრების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. დამეთანხმებით, განსაკუთრებით კი ჩვენი სტუმრები, როდესაც დავხედავთ საქართველოს რუკას, გოცბებულებს გავგიეღვებთ გონებაში აზრი, როგორ გაძლო ამ ქვეყანამ და როგორ გადარჩა. მართლაც რამდენადაც მშვენიერია საქართველო, იმდენად საბედისწერო ადგილზე დაავანა განგებამ, ორ ზღვას შუა, საქრისტიანო—სამუსლიმანო გზაგასაყარზე და იმპერიების გარემოცვაში. ამიტომაც არის ჩვენი ისტორია ქარცეცხლიანი. რომ არა ღმერთის მფარველობა, ჩვენი წინაპრების მარჯვენა, დღეს საქართველო აღარ იარსებებდა და აღარც შესანიშნავი პურ—ღვინო იქნებოდა თქვენი მასპინძელი. ქართული მისალმება გამარჯვება, სიტყვა გამარჯვებისაგან წარმოსდგება, რაც უფლის გზით სიარულს ნიშნავს. ჩვენმა წინაპრებმა სახელოვნად განვლეს გზა ისტორიულ ქარტეხილებში და დღემდე ვცხოვრობთ ამ მადლიან მინაზე. ისტორიულ აღმასვლაში თითოეული ჩვენთაგანის წინაპარს თავისი მოკრძალებული წვლილი აქვს შეტანილი. ამიტომ მე მინდა მათი შესანდობარი დავლიო და ვთხოვო მაღალ ღმერთს ნათელში ამყოფოს მათი სულები.

მამაკაცები ფეხზე წამოდგნენ და ყველამ ბოლომდე ჩამოცალა რქანითელით სავსე ფიალა. ჟაკი, რომელიც ყველა სასმისს ბოლომდე მიირთმევდა და გაუთამამდა რქანითელს, დაჯდომისას, რომ არა ნოდარის დახმარება, ასცდებოდასკამს.

- ჟაკ! — გაისმა რქანითელის ხმა დოქიდან, — რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, თქვენი, ევროპელების სირისტიანი ღვინო არ გეგონოთ, თორემ თუ გადაჭარბებით მიირთვი ჩემი ნექტარი, ამ, თქვენგან სამოთხედ აღიარებული ადგილიდან უკუწინეთ ჯოჯოხეთში მოხვდები.

ჟაკმა სახეზე მოისვა ორივე ხელი, სკამზე გასწორდა, თავი რქანითელით სავსე დოქისაკენ დასწია და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— თქვენები რომ სვამენ. ისინი არ დათვრებიან?

— ბიჭო შენ ვინა ხარ!? — გაცინა რქანითელს, — აბა შეხედე, ეგენი მხოლოდ ფიალებს ცლიან ბოლომდე, ჭიქაში კი ღვინოს ცოტას ასხამენ და მისი დაღვეის შემდეგ ბევრს ტოვებენ შიგნით. შენ კი ჭიქაშიც და ფიალაშიც გვალვა გააჩინე. რუსი რომ იყო არ გაგაფრთხილებდი. იმათ ხომ ღვინის ფასი არ იციან. შენ ხომ ფრანგი ხარ, თან წარმოშობით კავკასიელი, ღვინის ქვეყნიდან, ეს უნდა იცოდე. თქვენს ქვეყანაში ყლუპებით სვამთ ღვინოს, აქრა მოგივიდა კაცო? სიდრი ხომ არა ვარ, რომ გამაფუჭო?

მარანში ზაქრო და ვანო შემოვიდნენ. ხელში მწვადით დახუნძლული შამფურები ეკავათ. ირგვლივ საამო სურნელი დატრიალდა. სუფრის წევრები გამოცოცხლდნენ. ფრანგებისთვის უცხო არ იყო შემწვარი ღორის ხორცი, მაგრამ წალამზე შემწვარმა მაინც თავისი გაიტანა და კიდევ ერთ საოცრებად მოეგლინა ისედაც განცვიფრებულ სტუმრებს.

— თუ გინდა რომ დიდხანს გაძლო სუფრასთან, მწვადი მიირთვი ჟაკ. — არ ისვენებდა რქანითელი.

ჟაკმა გაითვალისწინა რქანითელის შენიშვნა, გემრიელად მიირთვა მწვადი და ჭიქაც ისე შეავსო როგორც უთხრეს. შემდეგ მიუბრუნდა ნოდარს და ჰკითხა:

— მისიე ნოდარ, მაინტერესებს თქვენთან ღვინით რატომ არ ავსებენ პირამდე ჭიქებს და სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ ბოლომდე რატომ არ ცლიან?

— ეს ტრადიცია სათავეს საუკუნეების სიღრმიდან იღებს, — უპასუხა ნოდარმა, — ქართველს მტერი მუდამ ჰყავდა და სიმცირის გამო ძირითადად თავდაცვა უხდებოდა.. ამიტომ მისთვის არც დათრობა შეიძლებოდა და არც გადაჭარბებული ფიზიკური შრომა. ის ყოველთვის ფხიზლად და ფიზიკურად მომზადებული უნდა ყოფილიყო, რომ მოულოდნელად მომხდურ მტერს დახვედროდა. ეს ჩვევა დღემდე მოგვდევს და ვცდილობთ, რომ ტრადიცია არ დავარღვიოთ.

ჟაკმა თავი გააქნია, წარმოიდგინა რომ ის მტერს არ უნდა დახვედროდა და როდესაც თამადამ სტუმრების სადღეგრძელო წარმოსთქვა, მან სამადლობელი ბოლომდე ჩამოცალა, ნელა დაეშვა სკამზე და ერთგვარ მოჯადოებულ სივრცეში გადაეშვა.

— გამოგვეცალა ხელიდან. — ჩაიბუტბუტა რქანითელმა და დოქში შეჯანჯლარდა.

მაგიდიდან თავჩაქინდრული ჟაკი დაფრინავდა ხან საფრანგეთის და ხან საქართველოს თავზე. ბოლოს თავისი დიდი პაპა ფრანსუა გამოეცხადა. ჟაკს მასთან ახლოს უნდოდა მისვლა, მაგრამ რაღაც ძალა აჩერებდა. ბოლოს როგორც იქნა ისინი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

-ჟაკ! — მკაცრი ტონით მიმართა ფრანსუამ შვილიშვილს, — ხომ გაგაფრთხილეს, რომ საქართველოში სასმელს არ მიეძალოო. განა რადგან მეღვინე ხარ ლოთობა ხომ არ უნდა გაიხადო შენი ცხოვრების თანამგზავრად. რისთვის ჩახვედი საქართველოში თუ გახსოვს?

ჟაკმა მოიკრიბა ძალა—ლონე და თავანუელმა უპასუხა:

— ღვინის წამოსაღებად.

— მერე ეძებ იმ ღვინოებს, რომლებიც ევროპაში უნდა გადმოტვირთო? ერთი მათგანი სწორედ ეგ არის რქანითელი, რომლითაც შენ გამოთვერი. ხოლო მეორე ივრისპირეთშია. მას საფერავი ჰქვია. მისი ნერგი საქართველოში მცხოვრებმა გერმანელმა შვაბებმა ჩემგან წაიღეს, თავად ჩოლოყაშვილთან ერთად შეაჯვარეს ადგილობრივ წითელი ვაზის ჯიშთან და მიიღეს უნიკალური საფერავი, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. აი, ეგ ღვინოები უნდა გამოაგზავნო აქეთ.

— საფერავიც და რქანითელიც ორივე უნიკალური ჯიშია, — უპასუხა ჟაკმა პაპას, — მაგრამ მათი ტრანსპორტირება არ შეიძლება, რადგან ისინი მიწაში ანუ ქვევარში ინულება და იქიდან ასევე მიწაში ანუ დოქში ჩამოისხმება და გადაადგილებას ვერ უძლებს. მაშინ, მაშინ, — დაიბნა ფრანგი, — მიწიანად უნდა წამოვიღო... საქართველოს არავინ გამომატანს საფრანგეთში...

— მის უდიდებულესობას, ქართულ ღვინოებს გაუმარჯოს! — თამადის წარმოთქმულმა სიტყვებმა გამოაფხიზლა ჟაკი, — საფერავისა და რქანითელის თამადობით. რქანითელი, ბატონებო, სუფრის მთავარსარდალია, ხოლო საფერავი — საბარძიმე, რომელიც ტაძრის საკურთხეველში სული წმიდის გადმოსვლის შემდეგ, ქრისტეს სისხლად გარდაიქმნება და აძლიერებს მორწმუნეებს. მამ გაუმარჯოს მსოფლიოში ყველაზე უძვირფასეს სითხეს — ღვინოს საფერავისა და რქანითელის თამადობით.

— გაიგე ჟაკ!? — შეეხმიანა ფრანგს დოქიდან რქანითელი, — საქართველოდან ბერძნებმა ოქროს სანმისის გატანა კი შეძლეს, მაგრამ ღვინოს, ნაღდ ღვინოს ვერავინ გაიტანს. ეს ჩვენი სიმიდრე და სიამაყეა. თუ გინდათ აგერ გაფილტრულ ანუ ნამუსგარეცხილ ღვინოებს გაგატანთ რამდენიც გინდათ, ჩვენ კი ნურას უკაცრავად.

— კი, მაგრამ თქვენ რატომ არა? — არ ცხრებოდა ჟაკი.

— იმიტომ ჩემო კარგო, რომ უფლის მეორედ მოსვლა აქ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, საქართველოში უნდა მოხდეს და ყველა, ცხოვნებისათვის ღირსი ადამიანი აქ უნდა ეზიაროს ქრისტეს სისხლს— ღვინოს. ამიტომ ჩვენ, მიწიდან შექმნილი სითხე ქართულ მიწაშივე უნდა ვინახებოდეთ, რათა ღირსეულად აღვასრულოთ ჩვენზე დაკისრებული ღვთიური მისია. ასე, რომ ზოგიერთებივით, მსოფლიოში სატანტალოდ არა გვცალია.

ჟაკი განცვიფრებული უყუებდა საფერავს, რქანიტელს, თანამეინახეთა გაბრწყინებულ სახეებს და მხოლოდ ახლა მიხვდა თურმე რა შორს ყოფილა ჭეშმარიტებისაგან, რომ ევროპა კი არ არის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრი, არამედ ეს მიწა, რომელიც ღვთისმშობელმა თავის სავანედ გამოარჩია...

სოფელ იღბლიანს კი თავზე დასდგომოდა მთვარის ნათელი, რომელმაც ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გადაშალა და სათუთად ჩაიკრა გულში.

სარჩევი

1. ქართული ამბავი ----- 2
2. გერმან ერბოკვერცხოშვილი ----- 21
3. პასპორტიანი მგლები ----- 29
4. სიურპრიზი ----- 39
5. მისი უდიდებულესობა ქართული ღვინო ---- 48

* * *

ეს სამყარო ღმერთმა შექმნა.
უსასრულო ვარსკვლავები,
მზე და მთვარე ჩვენ გვიბოძა
და შეგვიბა გულს კარები!
ჩვენ კი კარებს კლიტე ვადეთ,
გადავრახეთ ურდულებით,
შიგ არ ვუშვებთ სიტყვას კეთილს,
ვერეკებით შურდულებით!..
ბოროტ სიტყვას გზა მივეცით
მოჩუხჩუხებს წყაროსავით,
მოაოხრა ჩვენი გული
ვით გაღეწილ კალოსავით!..
ჭკუას ჩვენ თავს ვეკითხებით,
არად ვაგდებთ უფლის ცოდნას,
ემმაკები გავახარეთ,
აღარც ვერიდებით ცოდვას!..
ჩვენი ურცხვი თავმადლობით
ვხედავთ მხოლოდ მაღლით-დაბლა,
ღმერთმა დაბალთ წესი მოგვცა,
რომ ვხედავდეთ დაბლით-მაღლა!..
რადგან ჩვენც და ყოველივე
მოვევლინა უფლის ნებით,
ჩვენ კი ლაგამი ავწყვიტეთ
და თავს ვიშთობთ ჩვენი ნებით!..

ვასილი უნაფქოშვილი
სოფ. პატარძეული